ივლისი
1937 წ.
№ 137

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie Indépendante
Revue mensuelle
JUILLET
1937 — № 137

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

შინაარსი:

მეთაური—დახვრეტები ტფილისში.
სან. მანი—დაშნაკელები და კავკასია.
დარბაისელი—ნავსი გატყდა.
X.—რუსთაველის იუბილე და ქარ. ემიგრაცია.
ნ. ურუშაძე—პარიზის მსოფლიო გამოფენა.
ნაური—წერილი ამერიკიდან.
რას სწერენ სომხური გაზეთები.
ბოლშევიკური მიღწევები.
დამსწრე—სამოქალაქო პანაშვიდი ლევილში.
დახვრეტები ტფილისში. და სხვ.

დახვრეტები ტფილისში

მოსკოვის პრესა წვრილმან ამბებში ათავსებს, 13 ივლისს, «ზარია ვოსტოკა»-ს ცნობას, რომ ტფილისში შვიდი «ჯამუში-ტეროორისტი» დახვრიტესო, მათ შორის ხელმძღვანელი ბუდუ მდივანიო. მათ ბრალდებოდათ, იმავე ცნობით, საბჭოთა კავშირის ღალატი და იქიდან საქართველოს გამოთიშვის განზრახვა, ერთ ფაშისტურ უცხო სახელმწიფოს დახმარებითო.

ხაზგასასმელია, უწინარეს ყოვლისა, ის გარემოება, რომ გადამწყვეტი როლი ამ სისხლიან აქტში ტფილისს და არა მოსკოვს აქვს დათმობილი. საქართველოს უმაღლესმა სამსაჯულომ—ირწმუნება «ზარია ვოსტოკა»—განიხილა, დახურულ კარებში, შვიდის საქმე, ისინი სავსებით გამოტყდნენ დანაშაულში და განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილიო. გამოდის, ამრიგად, მოსკოვი არაფერ შუაში ყოფილა, ფაქტის წინაშე დაუყენებია ის ტფილისს, და სტალინი, კიდეც რომ ნდომებოდა, ვერ უშველიდა, დაგვიანებული იყო!

განა შეიძლებოდა უკეთ გამოაშკარავება დიქტატორის ჯამბაზობის, სიფლიდესი, სიმხდალესი? სინიდისის ქეჯნაზე ზედმეტია ლაპარაკი, თუმცა განა სტალინის ბრძანებით არ ეფინებოდენ ფიანდაზად ბუდუ და სხვები რუსის ჯარებს თავისუფალ საქართველოს დასამხობად? არა, დიქტატორის ამ ულაზათო მიზანსცენიდან—ვითომ ის არაფერ შუაშია—აშკარად მოსჩანს მხოლოდ შიში, ცხოველური შიში, ვაი თუ დახვრეტილთა ვინმე ნათესავმა შური იძიოს ჩემზეო. თორემ ვინაა თავი მოღალატე გამცემი, ღირსი თვით ტანტაროზის სასჯელისა, თუ არა ისევ პირშავი სტალინი? მას მართლა აქვს საბუთი ათასი ხერხი იხმაროს, რათა თავიდან აიცდინოს დამსახურებული შურისძიება, მაგრამ რამდენად ამაოა ეს ცდა, იქიდანაც კარგადა სჩანს, რომ ის თავის ნაცვალს ბერიას აფარებს თავს.

რას ფიქრობს ქართველი ერი, როგორია მისი მსჯავრი დახვრეტილებზე? მისი ზიზღი და რისხვა მოღალატეთა მიმართ, «განკითხვის დღეს», გარდაუვალია, მაგრამ ისიც არ მოელოდა უთუოდ ასეთ ბოლოს! დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ერს არ შეეძლო, რაც არ უნდა ცდილიყო, ასე სასტიკად დაესაჯა თავისი გამცემნი. ერთია, როცა გსჯის შენი ერი, რომელსაც ულალატე; მეორეა, როცა მსაჯულად გამოდიან შენივე თანამოზიარენი საშინელ დანაშაულში. აი, რა ხვედრი ეწიათ გუშინდელ «მართველთ», როგორ გადაუხადა მათ სტალინმა უცხო და ბარბაროსულ სახელმწიფოს სამსახურისთვის!

საქმე განხილულ იქნა დახურულ კარებშიო, ბრალდებულნი გამოტყდნენო... ესეც მეორე უკმეხი სიყალბე, რომელიც მხოლოდ ბერიასებურ სირცხვილ-სინდისზე ხელაღებულ მსაჯულებისგან იყო მოსალოდნელი. განა ცხადზე უცხადესი არაა ყველასათვის, რომ, როცა ბრალდებულნი არ ტყდებიან, მხოლოდ მაშინ ხურავს მოსკოვი სამსაჯულოს კარებს? რა სიამოვნებით მოაწყობდა სტალინის ნაცვალი ზინოვიევ-რადეკისებურ პროცესს ტფილისში, რომ თვით მოსკოვიც დაეჩრდილა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ვერ შესძლო. ან რაში უნდა გამტყდარიყვენ ისინი? ფაშისტურ უცხო სახელმწიფოს სამსახურში? ორი სამი კვირის ადრე იმასაც კი აბრალებდენ, ვითომ მათ კავშირი ჰქონდათ ეროვნულ პარტიებთან, ნოე ჟორდანიას მეთაურობით! პირველი ბრალდება ისევეა დასაჯერებელი, როგორც მეორე. ეროვნულ პარტიებს სულაც არ ეჭვირებათ ერისგან გარიცხულებთან კავშირი. მათი საშუალებანი ისევე სპეტაკია, როგორიც მიზანი—სამშობლოს დახსნა აუტანელ ტყვეობისგან.

გარნა ეს არ გვიშლის ვიფიქროთ, რომ ბევრია გუშინდელ მოღალატეებში ისეთი, ვინც თვალს ახელს იმ საშინელ უფსკრულის წინაშე, საითკენ მათ მშობელი ერი გადისროლეს, ზოგნი სინანულსაც ეძლევიან, იქნება, თავს იხოკენ, მაგრამ გვიანია; არა მათი გასვრილი ხელებით შეიძლება უსპეტაკეს საქმის გაკეთება, როგორიცაა ქვეყნის აღდგენა, ტანჯულ ერის უზენაესობის ტახტზე დასმა.

ქართველმა ერმა არა ერთი მორალური გამარჯვება იგემა დაუნდობელ მტერზე ამ 17 წლის განმავლობაში, მაგრამ ეს უკანასკნელი გამარჯვება: გუშინდელ მოღალატეთა ნიანგის ცრემლები მათ მიერ ლეჩაქ ახდილ მშობელ დედის წინაშე, თითით საჩვენებელი ისტორიული მოვლენაა მათ შორის. აბა გაიხსენეთ ის დრო, როცა თვით ეროვნულ პარტიების წევრებს აიძულებდენ, ჩეკის «გახურებული შანთებით» გადაეთქვათ თავისი თავდადებული ერთგულობა სამშობლოსადმი. ეხლა კი ამ ერთგულობისათვის თავისიანებსაც ხვრეტენ! ხმელეთის მეექვსედს, «საერთო სამშობლოს» ღალატობენ, საქართველოს გამოყოფას ლამობენო!

დიახ, სხვა პოლიტიკური დანაშაული, ბრალდება, დღეს უკვე არ არსებობს, გარდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა. ამაში ამტყუნებენ, მხოლოდ ამისათვის სჯიან არა მარტო მამულიშვილებს, არამედ მამულის უარისმყოფელთაც. და ასეთები თანდათან კლებულობენ კომუნისტურ პარტიაშიც. ნუ დაივიწყეთ, რას გვწერდენ საქართველოდან: მუშა, გლეხი, ინტელიგენცია, დიდი და პატარა, მთელი ხალხი ანტირუსული გრძნობებით არის გაჟღენთილიო. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩვენს შემდეგ მთელი ახალი თაობა წარიზარდა, განა გადაჭარბებულია ვიფიქროთ, რომ ის ახალგაზდობაც, ვისაც თავი კომუნისტურად მოაქვს, სინამდვილეში ანტიკომუნისტურად, ანტირუსულად სუნთქავს? განა ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე არ რწმუნდება ის, როგორ დაუპატიჟებლად ეპატრონება რუსი მის მიწა-წყალს, ავლა-დიდებას, სახელმწიფო და ეკონომიურ პოზიციებს? განა არ გრძნობს ის, რომ მისი მწერლობა, ხელოვნება, მეცნიერება რუსის კლანჭებშია?

ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, ტყვეობის ამ მე 18 წლის თავზე, რომ ქართველი ერი არასდროს არ ყოფილა ისე გაერთიანებული, დარაზმული, გაჟღენთილი ერთის გრძნობით და აღჭურვილი ერთის ნებისყოფით, როგორადაც დღეს. ის უკვე თავისუფალია სულით, რაიცა უტყუარი თავდებია მისი ხორციელი განთავისუფლებისა.

და ამას ამხელს თვით მოსისხლე მტერი! მოიგონეთ ერთი ღირსშესანიშნავი ფაქტი. ყოველთვის, როცა საქართველოს ახსენებს, მოსკოვი უთუოდ დასძენს, რომ იქ პატრიოტი თუ კომუნისტი მხოლოდ და მარტო შეთქმულობას აწყობენ ქვეყნის საბჭოთა კავშირიდან გამოსაყოფად, მისი დამოუკიდებლობის აღსადგენადო. უცხოეთს ისე სჯერა ეს ამბავი, ისე ბუნებრივად და კანონიერად სთვლის ამას, რომ თვით კონსტიტუციის ეროვნულ მუხლის მიღების დროს, შარშან, მისმა კორესპონდენტებმა მოსკოვიდან მსოფლიოს მოსდვეს, საქართველოს დამოუკიდებლობა აღადგინესო! საბჭოთა კავშირში ბევრი სხვა არაერუსი ერია, მაგრამ არც ერთის დამოუკიდებლობაზე არ გაჰკივიან ამდენს.

ეს პრივილეგიური მდგომარეობა ქართველმა ერმა თავისი გმირული ბრძოლებით მოიპოვა და მას ხელი შეუწყო ჩვენი ეროვნული ცენტრის დაუძინებელმა მუშაობამ. რასაკვირველია, როცა მოსკოვი გაიძახის, რომ საქართველოს ბედით დაინტერესებულია ესა თუ ის დიდი სახელმწიფოო, ამაშიც არ სცდება, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მის მიერ შეთხზული ავანტურული მეთოდები, რომელსაც ვითომ ქართველი მოღვაწენი ხმარობენ, მათ ავტორთა ვერაგულ სიფლიდეს ამჟღავნებს.

კავკასია ეკონომიურად, სტრატეგიულად, პოლიტიკურად ევროპა-აზიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წერტილს წარმოადგენს, განა რა გასაკვირია, რომ სახელმწიფონი მას თავის გენერალური პოლიტიკის განუყოელ ნაწილად სთვლიდენ? ხოლო კავკასიის პოლიტიკური ხერხემალი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქართველი ერია. უკანასკნელი გრძნობს მთელს თავის პასუხისმგებლობას არა მარტო საკუთარ, არამედ მის მეზობელ ერთა მომავლის წინაშეც.

ეს მომავალი კი კავკასიის ოთხივე ერის კონფედერაციაში იპოვის თავის განსახიერებასა და უზრუნველყოფას. ტფილისის უკანასკნელი დახვრეტები უტყუარი მაჩვენებელია იმისი, რომ გმირთა გმირი ქართველი ერი სასიქადულოდ შეასრულებს თავის ისტორიულ მისიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაშნაკელები და კავკასია

სომხურ პრესაში დიდი სჯა-ბაასია. არკვევენ, თუ როგორი უნდა იქნეს სომხეთის პოლიტიკა რუსეთის მიმართ, როგორც მშვიდობიანობის, ისე საერთო გართულების დროს. პრესის ამ მუსაიფში და ურთ-ერთთან კამათში აშკარად მოსჩანს ერთი გარკვეული ხაზი—რუსეთის ორიენტაცია. ამ ხაზზე გაერთიანებულია დაშნაკელები მცირედი გამონაკლისით, რამკავარი (სომხის ლიბერალები) და კომუნისტები. განსხვავება იწყება მხოლოდ იქ, სადაც რუსეთ-თურქეთის მეგობრობის საკითხი დგება. სხვა კითხვები: კავკასია, მეზობლები და მათზე ორიენტაცია მათ მსჯელობიდან გამორიცხულია. აბა სომხეთის დამოუკიდებლობაზე, თავისუფალ კავკასიის კავშირში მის მოწყობაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. თითქოს, ეს საკითხები მათთვის არც კი არსებობდენ. ხოლო თუ ამ საგანზე აქა-იქ გაკვრით რამეს იტყვიან—ეს მხოლოდ მაშინ, როდესაც სიტყვა საქართველოს გინებაზე ჩამოვარდება.

თუ სომხის ემიგრაცია გაერთიანებულია ორიენტაციის საკითხში, საორიენტაციო მიზანიც გამონახულია,—მაშ რაზე დაობენ და სად არის მათ შორის განსხვავება?

დაშნაკელების აზრით «ჩვენ მშვიდობიანობის დროსაც არ შეგვიძლია და არც გვინდა საბჭოთა რუსეთის წინაამდეგ იდეური ბრძოლის ფარგლებს გავცილდეთ... ხოლო თუ ომი ატყდა, მაშინ სომხეთის ემიგრაციამ განურჩევლად პარტიისა და პოლიტიკური რწმენისა უნდა დაიცვას რუსეთი» ო («აირენიკი», 21 მარტი, 1937 წ.). ხოლო რამკავარები და კომუნისტები მოითხოვენ საბჭოთა კავშირის წინასმდეგ «იდეურ ბრძოლაზედაც» ხელის აღებას და დღესვე მისთვის მხარის დაჭერას.

და მართლაც, თუ სომხები გრძნობენ რუსეთთან დაკავშირებას და გართულების დროს მისთვის მხარის დაჭერის აუცილებლობას, რატომ არ უნდათ ხელი აიღონ «იდეურ ბრძოლაზე» და დღესვე გვერდში ამოუდგენ მას, რომ უფრო მომზადებული შეხვდეს მოსალოდნელ ომს? ამაზე თვით «აირენიკი» იძლევა გარკვეულ პასუხს. «აქ არ უნდა დავივიწყოთ—სწერს გაზეთი—ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, სახელდობრ ის, რომ საბჭოთა რუსეთი დღესაც თურქეთის მეგობარი და მოკავშირეა». გამოდის, საკმარისია ეს «მეგობრობა» მოიშალოს, თურქეთის და რუსეთის გზები გაიყონ, რომ დაშნაკელები, როგორც ერთი კაცი, რუსეთის მხარეზე დადგენ. სულ ერთია ეს მეგობრობა ომით შეიცვლება, თუ რუსეთ-ინგლისის მზგავსი ურთიერთობით. აქ, მართლაც, გაურკვეველი და ბუნდოვანი არაფერია. საკითხი დაყვანილია რუსეთ-თურქეთის მეგობრობაზე; დავიწყებულია საკუთარი დამოუკიდებლობა, კავკასიის მთლიანობის აუცილებლობა და მისი თავისუფალი სახელმწიფოებრივი ბრძოლის გზები!

ეხლა ნათელია, რატომ სომხობის მეთაურები მცირედი გამოკლებით უცხოეთში გაურბოდენ კავკასიურ გაერთიანებებს, მისგან იჯმნიდენ, როგორც ეშმაკისაგან. ცხადია, კავკასიის გაერთიანებაში თავის გაყოფა, მის ნიადაგზე დგომა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა გულისხმობს რუსეთის ფარგლებიდან გამოსვლას, მის პოლიტიკა-ორიენტაციასთან კავშირის გაწყვეტას—ბარიკადის მეორე მხარეზე ჩაჯდომას. ამას კი ვერ იზამ, თუ უზურში რუსეთთან ერთად ყოფნა გაქვს, მისი ჯარებით ოდესღაც დაკარგულ ტერიტორიების დაბრუნება გულზედ ავგარიზად გკიდია. იტყვიან, სომხებს უფლება აქვთ, ის პოლიტიკა აწარმოვონ, რომელიც მათი ერისთვის უფრო სასარგებლოდ მიაჩნიათო. მართებული თქმაა. მაგრამ ეროვნულ სიფაქიზედ ისიც არავის გამოუცხადებია, რომ მოძმე ერებს ერთობაზე ეფიცო და გულში კი მათ მტერთან მეგობრობა გედოს.

დღემდის დაშნაკელები კავკასიის კონფედერაციაში შემოსვლის ძირითად პირობად «ორ ფრონტზე ბრძოლას» აყენებდენ. მათ არ უნდოდათ, ეცნოთ პრიორიტეტი რუსეთის საკითხის და მის წინაამდეგ დღესვე დარაზმვის, მათი მოთხოვნა იყო ბრძოლა რუსეთის და თურქეთის წინაამდეგ და შინაური სადაო ტერიტორიალურ საკითხების წინასწარ აქ, ემიგრაციაში, მოგვარება. აი, ორი მთავარი მუხლი, რომლის მომიზეზებით სამწუხაროდ კავკასიასთან საერთო დგომა უარყვეს. მიუხედავად ამ ორი დებულების მიუღებლობის და უადგილობისა, ეს მაინც არ ნიშნავდა დაშნაკელების მიერ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე ხელის აღებას. ეხლა კი ირკვევა, რომ მთავარი ეს კი არ ყოფილა, არამედ ორიენტაცია რუსეთზე და ამასთან კავშირში ბრძოლა თურქეთის წინაამდეგ. თითქოს კავკასიაში თურქეთი იჯდეს და არა რუსეთი. ხოლო «იდეური ბრძოლით» მობოდიშება არაფერს ნიშნავს, გარდა რეჟიმის წინაამდეგ ბრძოლისა.

და რომ ემიგრანტ სომხების პოლიტიკა სამწუხაროდ მხოლოდ რეჟიმის წინაამდეგ ბრძოლას ნიშნავს და არა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის—ამას ნათლად გვიხატავს დაშნაკელების ორგანო «აირენიკი» თავის მოწინავეში.

იგი სწერს: «თუ საბჭოთა რუსეთი არ იქნება მოკავშირე თურქეთის, მაშინ ის იძულებული გახდება, თავისი ინტერესების მიხედვით, აწარმოვოს კავკასიაში ისეთი პოლიტიკა, რომელიც უპასუხებს სომხობის ინტერესებს... გააძლიერებს სომხების პოზიციას. ამ შემთხვევაში სომხეთის ყველა პარტიებმა გამოუკლებლივ მხარი უნდა დაუჭირონ საბჭოთა მთავრობას არა მარტო ომის დროს, არამედ ისეთ მერყევ ვითარებაში, როგორსაც განვიცდით დღეს» («აირენიკი», 9 მაისი, 1937).

მაგრამ როგორ უნდა «აირენიკს», მხარი დაუჭიროს» რუსეთს, როდესაც ამ უკანასკნელის წინაამდეგ და თავისუფლებისათვის ბრძოლაში შეურიგებელნი არიან საქართველო, აზერბაიჯანი და მთა? ნუ თუ ისინი ფიქრობენ, ითამაშონ ათარბეკოვების, რუბენების და სხვების როლი კავკასიაში, როდესაც

ეს უკანასკნელნი მოსკოვის ბრძანებით 1924 წელში ხელფეხ შებოლკვილ ქართველობას საბურთალოს ორხევებში ხვრეტდენ? ან კი რას ნიშნავს და ვის ხარჯზე უნდა მოხდეს «სომხების პოზიციების გამაგრება» კავკასიაში? ამ ამონაწერში განსაცვიფრებელი სიცხადით მოსჩანს ძველი, ცნობილი ყურები ცარიზმის პოლიტიკის და მის კუდზე გაბმული ზოგიერთი დაშნაკელის. აქ ანალოგია მეტად მომხიბლავია, მაგრამ ჩვენ მაინც არ მივცემთ ჩვენს თავს ნებას, რომ ემიგრანტების ეს გზააბნეულობა ბოლ ერს მივაწეროთ.

ამის შემდეგ ჩვენთვის ნათელია უცხოეთში გადმოხვეწილ დაშნაკელების დიდი ნაწილის პოლიტიკა. ის ემზადება რუსეთის ლიანდაგზე გადასასვლელად, ხოლო სანამ არ გადასულა, აგრძელებს რეჟიმის «იდეურ კრიტიკას» თავისი მრევლის შესაცევად. აქ დაშნაკელი თავის თავის ერთგული რჩება. წარსულში, დამოუკიდებლობის დროს, ის გაურბოდა საქართველოსთან და აზერბაიჯანთან მჭიდროდ დაკავშირებას, თავის ბედის მათ ბედთან გადამბვას და საერთო ძალით კავკასიის დაცვას. ახლა იგივე პოლიტიკაა: გარედ ცქერა, მეზობლების აბუჩად აგდება და კავკასიის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის მაგიერ რუსეთის კალთაში კვლავ თავის ჩადება.

განა უპასუხებს ეს პოლიტიკა კავკასიის სომხეთის ნამდვილ ინტერესებს? ჩვენ, ცოდვილნი, ამას ვერ დავიჯერებთ. დედამიწის ზურგზე კავკასიის სომხობა ერთად-ერთი კომპაქტიური მასაა ისტორიულ ტერიტორიაზე დასახლებული. თუ გნებავთ ეს ის კერაა, რომლიდგანაც უნდა გაღვივდეს სომხური ეროვნული სული და პოტენცია. ყველა პოლიტიკა, რომელიც ამ კერას დამოუკიდებლობას მოუპოვებს და დაიცავს—უაღრესად ეროვნულია. ხოლო პოლიტიკა, რომელიც მის ბედს პრობლემატურ, გრძნობების და შურისძიების სასწორზე დადებს—ანტისომხური და ანტიეროვნულია. ამდენეთად საერთო კავკასიური პოლიტიკა, კავკასიის ერების ერთობა და ერთად ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის—ჭეშმარიტი სომხური საქმეა, მისთვის ისტორიული პერსპექტივის გამხსნელი და მომავლის მაჩვენებელი გზაა. ვინც ამას ებრძვის და რუსეთთან ყოფნას და მისი საშვალებით კი გულუბრყვილოდ თავისი ეროვნული კერის გამაგრებას ფიქრობს—ის კავკასიის და თავის ერის მტერია და აქ მობინადრე ერთა შორის შუღლის და მტრობის მთესველია.

ამ მხრივ დამახასიათებელია დაშნაკელების ემიგრანტული პრესის გამოლაშქრება საქართველოს წინააღდეგ. თუ ვ. აგარონიანს დაუჯერებთ, დღეს ტფილისს მისცემია «ისეთი ხელსაყრელი შემთხვევა კავკასიაზე ბატონობის, რომელზედაც ოცნებაც კი არ შეეძლოთ უკიდურეს ქართველ ნაციონალისტებს. მთელი რუსეთი დღეს განიცდის საქართველოს ბატონობის ეპოქას. მოსკოვში ზის ქართველი სტალინი, ტფილისში კი მისი მოადგილე ქართველი ბერია» («აირენიკ», 25 აპრილი 1937). გამოდის სტალინის და ბერიას საქართველო «გაუბედნიერებიათ». ამის შემდეგ რაღა დარჩენია საცოდავ საქართველოს, თუ არა დაიჩოქოს სტალინის წინაშე და შენდობა სთხოვოს! მაგრამ გასაშტერებელი ის არის, რომ ეს მხოლოდ «აირენიკს» აქედან შეუმჩნევია, ხოლო ეს უმადური საქართველო მის «გამაბედნიერებელ» სტალინს დღემდის გაშმაგებით ებრძვის. მაგრამ მაინც რაში გამოიხატა სტალინის ეს «სიუხვე»? «უსაბერის» სიტყვით «ბერიას ნებართვით და კურთხევით საქართველოს ნება დართეს რუსთაველის და ილ. ჭავჭავაძის იუბილე გადაიხადონ», ხოლო სომხებს კი თავისი ნაციონალური მწერლების მოხსენიების ნებასაც არ აძლევენო. მეტად სამწუხაროა, რომ სომხის ერის მესაიდუმლე რაფის იუბილეს გადახდის ნებას მოსკოვი არ აძლევს ერევანს, მაგრამ აქ საქართველო რა შუაშია? სტალინის და ბერიას საქმენი საჯალათონი ვის შეუძლია ქართულ საქმედ გამოაცხადოს და მისთვის საქართველო პასუხისმგებელი გახადოს? ვინ იტყვის, რომ სომხეთს ისეთივე უფლება არ აქვს, როგორც საქართველოს, თავისი ისტორიული პირები მოიგონოს, მაგრამ თუ მოსკოვი მაინც სხვანაირად იქცევა და არა ასე—შეუძლებელია ეს სტალინის ქართველობით და მისი «საქართველოს სიყვარულით» აიხსნას. აქ როლს თამაშობს არა სტალინის ქართველობა, არამედ მოსკოვის პოლიტიკა, რომლის მიზანია კავკასიის ერებში შუღლის და შურის თესვა. ამის წარსული მაგალითები «აირენიკმა» და «უსაბერმა», ალბად, ჩვენზე უკეთ იციან. მაგრამ არ უნდათ მოვლენას ბუნებრივი ახსნა მისცენ. მათთვის სტალინი და საქართველო ერთია, ორივენი რუსეთს განაგებენ და ერთად განაწამებ სომხეთს ჯიჯგნიან!

ამას «უსაბერიც» იმეორებს. იგი სწერს: «სტალინი და ბერია უფრო ქართველებია, ვინემ კომუნისტები, ამასთან არა მარტო ხორცით და სისხლით, არამედ სულით და გულით. გინდათ საბუთები? აი, ის განსაკუთრებული წყალობა და უფლებები, რომელსაც აგერ 10 წელია საქართველო სარგებლობს პოლიტიკურ და ეკონომიურ სფეროში. ყველა ეს ნაციონალური უპირატესობანი და განსაკუთრებული ყურადღება მიუძღვნა თავის ხალხს და სამშობლოს სტალინმა და ბერიამ» («უსაბ.» 24 მაისი 1937). აბა ამაზე რაღა გვეთქმის? ასეთ რამეს საქართველოზე მისი მოსისხლე მტერიც კი ვერ დასწერდა. «უსაბერი» ვალდებულია იცოდეს, რომ სტალინი ის «ქართველია», რომელმაც ეს მისი «საყვარელი სამშობლო» ჯერ რუსის ჯარებით დაიპყრო და მერმე ფიზიკურად გაანადგურა. მან არ დაინდო ათასობით ქართველობა და მათი ძვლებით საქართველოს მთაღრეები და ციმბირის ცივი მიდამოები აავსო. ამის შემდეგ მზგავსი რამეების წერა, ნუ თუ არ გრძნობს «უსაბერი», რომ ქართველი ერის და მისი წმინდა მსხვერპლის შეურაცხყოფაა?! ჩვენ არ ვფიქრობთ «უსაბერის» ასეთ არამეზობლურ და შეუწყნარებელ გამოლაშქრებამ თვით პატიოსანი სომეხი პატრიოტიც არ ააღელვოს.

დაბოლოს ყველაფერს ამას სწერს «უსაბერი» მხოლოდ იმისთვის, რომ მკითხველი დაარწმუნოს სტალინის «ნაციონალისტობაში», რომელიც თუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმე იმაში გამოიხატება, რომ «სტალინის კონსტიტუციით საქართველოს და აზერბაიჯანის საზღვრები უცვლელი რჩება, რითაც კარაბახი, ნახიჭევანი, ზედა განჯა და ახალქალაქი სამუდამოდ ჩამოეჭრა სომხებს» (იქვე). ამაზე იტყვიან «თავს ჭრიდენ და თმას სტიროდაო». დღეს, როდესაც მთელი კავკასია მტერს ხელთ უპყრია, როდესაც ტფილისი, ბაქო და ერევანი რუსის საჯიჯგნად გამხდარა—«უსაბერი» შინაურ მიჯნებზე დაობს და ეს სომხის ერის უმაღლეს ინტერესებად გამოაქვს. განა მან არ იცის, რომ სანამ ტფილისი, ბაქო და ერევანი არ განთავისუფლებულან რუსეთის ბატონობისაგან, სანამ ისინი არ გამხდარან დამოუკიდებელ კავკასიურ ცენტრებად,—მანამ ზედმეტია მოთქმა შინაურ საზღვრებზე. ან კი რა მნიშვნელობა აქვს, გარდა ადმინისტრატიულისა, თუ რომელ ჩეკისტის საბრძანებელში იქნება ესა თუ ის რაიონი? და განა ღირს ამაზე კავკასიის ერებს შორის შუღლის და მტრობის თესვა?

ჩვენ ვერ დავიჯერებთ, რომ დაშნაკელებს და მათ გაზეთს ეს არ ესმოდეთ. მაშ რაშია საქმე? პასუხი ერთია: დაშნაკელებს გულწრფელად ჯერათ, რომ რუსეთი სომხეთის მეგობარია; რომ სტალინის ადგილას მოლოტოვი იყვეს—ის სომხის ერს გაბედნიერებდა, მას კავკასიაში პრივილეგიურ მდგომარეობას შეუქმნიდა. ეს არა მარტო მათი რწმენაა, არამედ პოლიტიკური ხაზი და ეროვნული ორიენტაცია. ეს რომ ასე არ იყვეს, მაშინ ისინი ორიენტაციას აიღებდენ არა რუსეთზე, ან რუსეთ-თურქეთის განწყობილებაზე, არამედ კავკასიის მთლიანობაზე, მის პოტენციალურ ძალაზე და მეზობლებთან ერთად ბრძოლაზე. ამის სამაგიეროდ მეტს არაფერს სწერენ, გარდა იმისა, რომ მოსკოვი და სტალინი საქართველოს სწყალობს, მასზე ზრუნავს და სომხეთს კი აღრჩობსო. წარმოიდგინეთ ხანჯიანის (სომხეთის კომპარტიის მდივანი) მკვლელობაც ქართულ საქმედ უნდათ გაასაღონ. ვითომც ბერიას ის იმიტომ მოეკლას, რომ სომხის პატრიოტი იყო! ეს თუ ასეა, მაშინ, როგორ ხსნის დაშნაკელების პრესა ბ. მდივანის, ტოროშელიძის, ოკუჯავას და სხვების იმავე ბერიას მიერ დახვრეტას? ხომ არ ფიქრობს, რომ ესენიც სომხეთის ჩასაქოლავად დახვრიტეს? თუ დაშნაკელების ლოგიკას გავყვებით, ეხლა ჩვენ უნდა დავიწყოთ ყიჟინი და უფრო მეტი საბუთით, რომ ბერიამ დახვრიტა ათეული გამოჩენილი ქართველი კომუნისტი, ხოლო სომხეთში კი მარტო ხანჯიანი—მაშასადამე, ბერია მფარველობს სომხობას და ანადგურებს საქართველოს. განა ეს იქნებოდა ეროვნული პოლიტიკა—შესაფერისი კავკასიის ინტერესებისათვის? ან კი ვისთვის არის საჭირო ერთი ჩეკისტის მიერ მეორე ჩეკისტის მოკვლა სომეხ-ქართველთა დამოკიდებულების საგნად გახადოს?

სომხურ პრესაში ატეხილი მთელი ეს უადგილო განგაში, ჩვენ მხოლოდ მეტად მწარე ფიქრებს გვიძრავს. მისი ნამდვილი სარჩული გვაფიქრებს და გვაღონებს. ამ იჭვებს ჩვენ ის უფრო გვიმტკიცებს, რომ უკანასკნელი ცნობებით კავკასიაში ქართველებსა და სომხებს შორის ღვივდება შუღლი და მტრობა. ეტყობა გამოცდილი და ნაცნობი ხელი იქაც მოხერხებულად მოქმედებს. იმის მაგიერ, რომ აქ, სადაც შესაძლებლობა გვაქვს, ერთად გამოვიდეთ და ორივე ერისათვის დამღუპველ მტრის მუშაობას და პროვოკაციას ნიღაბი ავხადოთ და შევებრძოლოთ; ჩვენი საერთო ხმა, რჩევა და გაფრთხილება იქაც კავკასიას ვაწვდინოთ—დაშნაკელები თავის გაზეთებში ცეცხლზე ნავთს ასხამენ; კავკასიაში დაწყებულ მტრის საქმეს აქ აგრძელებენ, მოსკოვის სისაძაგლეს ქართველ ხალხს აწერენ და მის საქმედ ასაღებენ!

კავკასიაში სომეხ-ქართველთა შუღლი და მტრობა ჩვენთვის ყოფნაარყოფნის საკითხია. თუ მტერმა შესძლო ამის განაღდება—მაშინ კავკასია თავისუფლებას ვეღარ იხილავს. და საეჭვოა სომხეთმაც ის პატარა კერაც შეინარჩუნოს, რომელიც მას დღეს კიდევ დარჩა კავკასიაში.

ჩვენ ღრმადა გვწამს, რომ სომხის ერს კარგად აქვს ეს შეგნებული და ამაზეა კავკასიის იმედიც. «აირენიკის», «უსაბერის» და სხვების ემიგრანტულ პოზიციას ის ვერ გაიზიარებს. ამის თვალსაჩინო მაგალითია 1929-31 წლები; სომხის გლეხობის აჯანყებები და საოკუპაციო ხელისუფლებასთან სისხლიანი შეტაკებები; როდესაც ის მხარდამხარ იბრძოდა ქრისტიან დამუსულმან მეზობლებთან ერთად. ჩვენ ვეჭვობთ, სომხის ხალხს ეს რეჟიმთან «იდეური ბრძოლის» ნიშნით მოეხდინოს. მეტი საბუთია ვიფიქროთ, რომ ეს და ამის შემდგომი ამბები იყო სომხის ერის მტკიცე გადაწყვეტილება—იქნეს თავისუფალი და დამოუკიდებელი რუსეთისაგან მის მოძმე ხალხებთან ერთად.

საერთოდ ცნობილია, რომ ერი მთლიანად ნაკლებად ცდება. შეიძლება მისი ესა თუ ის ხელმძღვანელი ჯგუფი დაიბნეს, სწორი გზა დაკარგოს, მაგრამ ერი—არასოდეს. ის მუდამ ეძებს და პოულობს გამოსავალს შექმნილ მდგომარეობიდან და ჩვენ გვწამს, სომხის ერმაც იპოვა ეს გზა. მან კარგად იცის, რომ გადამთიელი მას ვერ დაიცავს, ტკივილებს ვერ დაუამებს. ის მუდამ იქ იქნება, სადაც მის ბედში მეოფნი არიან, ვისი მწუხარება და სიხარული თავისად გაუხდია. ასეთია მისი კავკასიური მეზობლები: საქართველო, აზერბაიჯანი და მთა. შეუძლებელია საუკუნოებით ერთ ბედში მყოფ ერებს პოლიტიკურმა მიმდინარეობებმა გზაკვალი აუბნიონ. მის ისტორიულ სავალ გზას ააცდინონ. მთავარია კავკასიის ერებმა თანხმობა და ერთობა შეინარჩუნონ, მტრის ანკესს არ წამოეგონ და ურთერთ შორის შუღლის თესვის საშვალება არ მისცენ. ხოლო დაშნაკელებს უნდათ თუ არ უნდათ, კავკასია და მასთან ერთად სომხეთი თავისუფალი უნდა იქნეს, წინაამდეგ შემთხვევაში ვეჭვობთ სომხის ერმა მეტი მოიგოს.

დაბოლოს, დროა დაშნაკელებმა თავი გაანებონ თავის ძველ პოლიტიკის—სომეხ-ქართველთა დაპირდაპირებას, ფავორიტის როლის ძიებას და ამით კავკასიაში რუსეთის საქმის კეთებას.

სან. მანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ ა ვ ს ი გ ა ტ ყ დ ა

(ბოლშევიკების წინაამდეგ)

III. ანდრიუ სმისი.

ასეთია დღევანდელი შეხედულობა საბჭოთა ცხოვრებაზე ორი ისეთის მწერლის, რომელნიც გუშინ კიდევ აღტაცებით უყურებდნენ და ტაშს უკრავდნენ იმას, რაც საბჭოთა კავშირში ხდებოდა.

ბურჟუები არიანო, სთქვან იქნება და სთქვა კიდეც საკავშირო პრესამ.

მაგრამ იმ კომუნისტ მუშებისას რაღას იტყვიან, გულამღვრეული რომ გვიამბობენ საბჭოთა «მიღწევათ» და იქაურ «სამოთხისებურ ცხოვრების ნეტარებათ». აი, ამერიკელი მუშა ანდრიუ სმისი. შორს, ამერიკაში მისდიოდა ამას ხმა რუსეთის ამბებისა. სულგანაბული უგდებდა სმისი ყურს კომუნისტ-პროპაგანდისტებს; ბოლოს ვერ გაუძლო ამ ბედნიერ ქვეყნის ნახვის სურვილს, დაჰკრა ფეხი და წავიდა მოსკოვს, რომ თავის თვალით ენახა ეს სანეტარო ქვეყანა და დამტკბარიყო მისის მშვენიერებით.

ამერიკელი სტუმარი დიდის პატივით მიიღეს. აჩვენეს სკოლები, თეატრები, საავადმყოფოები; აჭამეს ხიზილალა და ასვეს კახური ღვინო. სასტუმროში მეფურად მოაწყვეს. ავტომობილი, რკინის გზის მშვენივრად მოწყობილი ვაგონები. ამერიკელი სიხარულით ცას ეწეოდა,—აი, ქვეყანა ეს არის და ხელისუფლებაც ასეთი უნდაო. დაბრუნდა ამერიკაში, წამოიყვანა ცოლშვილი და წამოვიდა რუსეთში საცხოვრებლად.

აქ უცხოელ ტექნიკოსის სახელით დაიწყო მუშაობა, მაგრამ პირველსავე დღეს ელდა ეცა: ხოხბებსა, ხაჭაპურებსა და კახურს ვინღა დაეძებდა. პირველი სადილი შესდგებოდა დამპალ თევზის წვნისაგან, ჭარხლისა და მჟავე პურისაგან. ნუ დავივიწყებთ, რომ როგორც უცხოელს, მას მაინც მორიდებულად ექცეოდნენ. ეს პირველი შთაბეჭდილება, აი, შემდეგიც.

ქარხანაში მუშები უზომოდ მუშაობენ, რათა დრო არ დაკარგონ და რაც შეიძლება მეტი დაამუშავონ,—თორემ «თუ დანიშნული ნორმა არ შევასრულე, უნიჭოების და ზარმაცების დაფაზე გამოაფენენ ჩემს სახელს, და მე კი... ცოლი მყავს და ორი შვილიო»(!), უამბობს სმისს ერთი რუსის მუშა, სამუშავო იარაღს არ უფრთხილდებიან, ძალზე ამუშავებენ და აფუჭებენ.

— თვალ აუღებლივ უნდა ვიმუშავო, რომ რამდენიმე მანეთი ვიშოვო, უთხრა სმისს იმავე მუშამ. მაშინები არც თვით უფროსს ენაღვლება, მანაც თავისი ნორმა უნდა შეისრულოს.

და ამას ეძახიან რუსეთში შრომის თავისუფლებასო, ამბობს სმისი. მეორე სიცრუე, რომლითაც გამოგვიჭედეს ყურები, მუშების განთქმული სახლებია, მზის სხივებით და ჰაერით სავსე.

ბევრი გავიცანი მუშა. ერთმა მათგანმა, მოსკოვის მახლობლად ელექტროქარხნის მუშამ მიმიწვია თავისას. მივედი. ჩემი ნაცნობი 550 სხვა მუშასთან, ქალთან და კაცთან ერთად, სცხოვრობს ხის შენობაში, რომელსაც ას მეტრამდე სიგძე აქვს და რომელიც ერთ უშველებელ ოთახს წარმოადგენს. 500 ვიწრო საწოლია, ზედ ბზით ან თივით გატენილი ტომრები და არც ბალიში, არც საბანი. ზოგს არც ასეთი საწოლი ჰქონდა და პირდაპირ იატაკზე ეყარნენ. ლოგინებზე დღე რომ ერთს ეძინა, ღამე სხვა წვებოდა. არც ტანისამოსის შესანახი რამ განჯინა; ან კი რა საჭირო იყო,—ამ ხალხს არა გააჩნდა მის მეტი, რაც ტანთ ეცვა.

ფრანგული გაზეთი, რომელიც სმისის წერილს ბეჭდავს, დასძენს: ჩვენში, საფრანგეთში ცხენებს, მაღლებს და ღორებსაც კი თუ უკეთესი არა, ელექტროქარხნის მუშების ბინებზე უარესი არ აქვთ.

არც გლეხობის მდგომარეობაა უკეთესი საბჭოთა «სამოთხეში».

— ცოლი და სამი შვილი მყავს,ეუბნება გლეხი სმისს. გათენდება თუ არა, მივდივარ ყანაში და ვკრებ კომბოსტოს ფოთლებს, სტაფილოს და რასაც ვიპოვი. მომაქვს ყაზარმაში, სადაც ორას სხვა გლეხთან ერთად ვცხოვრობ; ვდებ მოტანილს ქვაბში, რომელსაც კოლექტიურ ცეცხლზე ვდგამ, უკარაქოთ, უქონოთ, ზოგჯერ უმარილოდაც. ეს წვენი და შავი პურია ჩემი ოჯახის მთელი სადილი.

— განა კოლექტიური სასადილო არა გაქვთ?

— კი, მაგრამ იქ ჭამა 40 კაპეიკია სულზე. სად შეგვიძლიან,—მეორე ქვაბში წყალს ვაცხელებ და სტაფილოს ან კართოფილის გამხმარ ფოთლის ჩაის ვამზადებ და ამისთანა პურს ვატანთ, და გამომიწოდა რაღაც თიხის ნამტვრევის მსგავსი. ამას პურის მხოლოდ ბზე აქვს, სელის მარცვლები და ვინ იცის რაო.

ანდრე სმისს ყელი ასტკენია და ამ გარემოებამ გააცნო საკავშირო საავადმყოფოს.

— შევედი თუ არა, ყრუანტელმა დამიარა, ამბობს სმისი, და წინანდელზე უფრო ცუდად ვიგრძენ თავი. საექიმო იარაღი, ოდესღაც პრიალა და თეთრი, ზოგი ჭუჭყიანი და ზოგი დაჟანგებული, ერთმანერთში არეული ეყარა მაგიდაზე. მათი სტერილიზაციის საკითხიც არ ისმოდა, და ერთის ავადმყოფიდგან მეორეზე ისე გადადიოდნენ, რომ ჩვარსაც არ გადაუსობდენ. მომვლელებს ისეთი ჭუჭყიანი ხალათები ეცვათ, რომ მათ ფერსაც ვეღარ გაარჩევდა ადამიანი.

ბოლოს აი, რასა სწერს სმისი ქალების ბედზე.

ერთ მუშა ქალს ვიცნობდი, რომელსაც ქარხნის კომიტეტი უსაყვედურებდა, მიტინგებს არ ესწრებიო.

— საბრალოს, სწერს სმისი, სამიტინგოდ დრო არ რჩებოდა. დილის ოთხ საათზე უკვე ფეხზე იყო და ჯერში ჩასადგომად მირბოდა. რამდენიმე საათის ლოდინის შემდეგ, თუ ბედი გაუღიმებდა, ეღირსებოდა პატარა ნაჭერ პურს, თუ არა და საღამოს, ქარხნიდგან გამოსული, ისევ უნდა ჩამდგარიყო კუდში. აჭმევდა ბავშვებს შავ პურს, ფაფას, დაალევინებდა ადუღებულ წყალს, დააწვენდა პირდაპირ იატაკზე, დაახურავდა კონკებს და... წაისობდა ტუჩებზე წითელს,—ამის შოვნას ახერხებდა,—ფერუმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილს და მიდიოდა სასეირნოდ იმ სასტუმროების წინ, სადაც უცხოელები ცხოვრობდენ. დილის სამ საათზე უნდა შინ დაბრუნებულიყო, რომ ბაშვებისათვის ეჭმია, და იწყებოდა შავბნელი დღე გაჭირვებისა. ქარხანაში ერთ საშიშარ მანქანაზე მუშაობდა, მაგრამ მისი აზრი შორს იყო მუშაობისგან. უძილოს, დაქანცულს თავი ძირს უვარდებოდა, თვალები ელოლებოდა და... ესიზმრებოდა ბავშვები და ბედნიერი შეხვედრანი მომავალ ღამეს...

მისდა საბედნიეროდ სმის ამერიკული ქვეშევრდომობა და პასპორტი შეენახა, გაიბერტყა სამოთხის მტვერი და თავს უშველა.

მეორე კომუნისტი მუშა, კლებერ ლეგე, ფრანგი, რომელმაც რამდენიმე ხანი დაჰყო რუსეთში, ჩამოვიდა და თავის მოგზაურობის ანგარიში მისცა თავის პარტიას. აღარ მოვყვებით იმის გადმოცემას, თუ რა იყო ეს ანგარიში; ვიტყვით მხოლოდ, რომ მისმა პარტიულმა კომიტეტმა აუკრძალა პარტიის გარეშე საჯაროდ გამოსვლა და საბჭოთა ამბების გადაშლა. ლეგე დაემორჩილა ამ ბრძანებას, მაგრამ ცოტა ხანს უკან გულმა ვერ მოუთმინა, თუ სიტყვით არა, კალმით მაინც გამოსთქვა, რაც ენახა.

* * *

ანდრე ჟიდი, სელინი, ანდრიუ სმისი, კრებერ ლეგე და ტრედუნიონების მდივანი, ვალტერ სიტრინი, ან თანამგრძნობნი და მეგობარნი საბჭოებისა, ან თვით კომუნისტები, აი, ვინ გამოდიან საბჭოების სიცრუეთა, მათის გაკოტრების გასამჟღავნებლად და გასაკიცხავად. ბრმებსაც აეხილათ თვალი, და ნუ თუ ეხლაც, როდესაც ნავსი გატყდა, მოსკოვს თავისიანებმავე ახადეს ნიღაბი, დასავლეთის ქვეყნები არ მოვლენ გონს?

დარბაისელი.

რუსთაველის იუბილე და ქართველი ემიგრაცია

მიმდინარე წელიწადი ეძღვნის შოთა რუსთაველს. უნდა ითქვას, რომ პირველი ექვსი თვე როგორღაც შეუმჩნეველად ჩატარდა, რაიცა ეჭვი არ არის იმისი მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ჯერ კიდევ განსავლელი წლის მეორე ნახევარი მიეკუთვნება სავსებით მგოსნის უკვდავ სახელს ღირსებისა და შვენისამებრ.

სადიდებელი და სათაყვანებელი მისი სახელი ისედაც სცილდება ჟამთადენის ნიშანდობლივობას,—მას მუდმივადა და ბითუმად დაპყრობილი აქვს ქართველის გული და გონება!

რუსთაველის სიბრძნენი ერმა წარსტაცა ქართულ სიტყვიერებას და თქმულებებადა და ანდაზებად შეიმტკიცა. შოთას მცნებათა განაარსებით საუკუნოების სივრცეზე მიიზიდება ქართული ზნე და ჩვეულება, აზროვნება და შეგნება, მორალი და ყოფაქცევა...

«ვეფხის ტყაოსანი» საქართველოს სარკეა. ამ სარკეში ვეჭვრეტთ ხალხის ცხოვრებას—ერთბამადა და უკლებლივად, მთელის შინაარსით: ავითა თუ კარგით, ჭირითა თუ ლხინით, წარმატებითა თუ დაკნინებით, ძლიერებითა თუ უძლურებით, აღფრენითა თუ დავრდომით, შეიოქმედებითა თუ უნაყოფობით...

გამოუთქმელმა განგებულებამ ინება, რომ «ქართლის» მესვეურთ მამულის დაშორებით შეესხათ და ექოთ იმისი სახელი, ვინც თავად შეფრქვევითა სთქვა და შეამკო საქართველოის გვირგვინოსანი,—სწორუპოვარი, ნათელშემოსილი.

ჩვენ ზღაპრულ წეროებს დავემსგავსენით. აყრილნი მამაპაპათა კერიდან, მიმოვებნიეთ სამყაროს კიდითკიდემდე. ხმა ჩვენი გახდა ყოველ სა ქვეყანასა ერის წადილისა და ნების აღსრულებისათვის.

მთელ ამ ხნის მანძილზე მწუხარებასა და ძრწოლაზე მოთქმით ენა დაგვიშვრა და დაგვიშრა...

რუსთაველი შვიდი საუკუნით აგვაშორებს აწინდელს სიდუხჭირეს. ამასობაში ჩვენც შევისვენებთ: გადავიყრით ხაჯალათს, შევიმსუბუქებთ სევდით მოცულ მოქანცულ გონებას, ერთ ჰაზრსა და ფიქრს რომ დასტრიალებს დღემუდამ.

აწ უცხო მკითხველსა თუ მსმენელს ჩვენ გადვუშლით საქართველოს ოქროს ხანის ლაღ ფურცლებს; უცხოელებს დავანახვებთ ერის სულსა და აზროვნებას—აღმაღლებულსა და განსპეტაკებულს; მის წინ განივლიან ლანდები, რომელთა მეოხებით ქართული ბაირაღი მზრუნველობით თავს დასტრიალებდა ყველა ქართველთა და არაქართველთ,—განათლებულ სამეფოის ძლიერებით მოხიბლულთ, მისი სახელისა და პატივის თანაბარ დამცველთ...

თუ მშფოთარ ერეკლეს სისხლში ამოწობილ დაფლეთილ დროშის ქვეშ დასადგომად ოვსნი და ჩერქეზნი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ თამარის უძლეველი დროშა იმედით, სასოებით, შვებით აღავსებდა მთელი კავკასიისა და წინაზიის ხალხებს!

მაშინ ქართულმა სიტყვამაც მიაღწია უმწვერვალესობას და მსოფლიო სიტყვაკაზმულ ლიტერატურას შესძინა იშვიათი, უცნაური, მომჯადოებელი განძი, ქართული სახელის სილაზათე და სიამაყე!

შოთას ეპოქის შეცნაურებით ევროპიელი ჩასწვდება ჩვენი ერის წარსულის სიდიადეს და უმჯობესად მიხვდება მის ამჟამინდელ მოუსვენარ ბრძოლის დედააზრს...

* * *

თითქმის ყველგან ევროპის დიდ ცენტრებში მოიძებნებიან ქართველები და მათ მოვალეობას შეადგენს აღნიშნონ ამა თუ იმ სახით ქართულ სიტყვიერების ქურუმის იუბილე, იშვიათი თარიღი ქართველი ერის ისტორიაში: ამიტომ ვთქვი, რომ ვქცეულვართ ზღაპრის წეროებად...

რომში 27 მაისს ბ ნ რაფიელ ინგილომ წაიკითხა ვრცელი ლექცია ამ სათაურით: Il Poeta Georgiano Sciota Rustaveli e la Sua epoca (In occasione del settimo Centenario della morte del Poeta).

ლექცია დაიყო ოთხ ნაწილად:

I. შესავალში ლექტორმა ეპიზოდურად აღნიშნა ისტორიული ცნობები, რათა უცხო მსმენელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათვის გაეადვილებინა მოხსენების არსის შეთვისება: საქართველოს მიმართულებანი სხვადასხვა ხალხთანა და სახელმწიფოებთან; კონტაქტი ძველ რომთან; ქრისტიანობა; საკუთარი საეკლესიო-სამართლოლოგო-სააგიოლოგო ლიტერატურა; სამეცნიერო-სააკადემიო ცენტრები; სამონასტრო მოღვაწეობა; სახელგანთქმული ქართული საზღვარგარეთელი მონასტრები და მუნ შექნილი სამეცნიერო ცენტრები; ტფილისი: მისი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა კავკასიის მოსახლეობათა ცხოვრებაში; ხანგრძლივი ბრძოლა აგრესიულ ისლამთან; საქართველოს დანაწილება; შემდგომი კონსოლიდაცია; ბაგრატ მესამე; თავით აღმაშენებელი; ქართული საერო ლიტერატურა; არაბულ სპარსული გავლენა; ოქროს ხანა; თამარ მეფე; ქართული ორიგინალი ლიტერატურა; შავთელი; ჩახრუხაძე; რუსთაველი...

II. «ვეფხის ტყაოსნის» მოკლე შინაარსი.

III. პოემის ლიტერატურული გარჩევა; შედარებითი-კრიტიკული მეთოდი: ვის-რამიანი; ტრისტანი და იზოლდა; საღმრთო კომედია; რომეო და ჯიულეტტა; პარსიფალი; «ვეფხის ტყაოსანი» და სიყვარულის პრობლემა; რუსთაველი პირველი რომანისტი მსოფლიო ლიტერატურაში საამდროვო გაგებით; რუსთაველი და სხვა ტიტანები: ომიროსი, ვირგილიუს, დანტე, სერვანტესი, შექსპირი, გოეტე; რუსთაველი და დანტე; «ვ-ტ-ნი» ქართველი ერის ცხოვრებაში.

«ვ-ტ-ნი» სხვადასხვა ენაზე; ლექტორის განცვიფრება, რომ ამხნობამდის არ არსებობს იტალიური თარგმანი; ეს ნაკლი უნდა შეივსოს: თანამედროვე იტალიელების დაინტერესება საქართველოთი და კერძოდ შოთა რუსთაველით; ნეაპოლის სამეფო აღმოსავლურ ინსტიტუტის კონკურსი რუსთაველზე, როგორც ერთერთი საამისო სიმპტომი.

IV. დასასკვნი. რუსთაველის ხსენება დაპყრობილ საქართველოში, როგორც ერთი გამამხნევებელი მოვლენათაგანი ბრძოლაში მყოფ ერისთვის; ემიგრაციის კულტურულ-პოლიტიკური როლი; ერთის სულისა და ნებისყოფის ქართველობა შინ და გარედ; რუსთაველის დღენი, ვითარცა სტიმული შეურიგებელ ბრძოლის გაგრძელებისა—საქართველოს აღდგენისათვის...

ეს ლექცია მოაწყო ცნობილა საზოგადოებამ C. A. U. R-მა (სამოქმედო კომიტეტები რომის უნივერსალობისათვის). კაეტანის სასახლის მოხდენილი დარბაზი სავსე იყო მოწვეული სტუმრებით. ლექციას დაესწრნენ, იტალიელების გარდა, რომში მობინადრე უცხოელთა კოლონიების წევრები: ინგლისელები, შვეიცელები, გერმანელები, პოლონელები, ბერძნები, უნგარელები, ბულგარები, რუსები, უკრაინელები, რუმინები, სომხები, სირიელები, არაბები და სხვ.

ლექციის წინასწარ C. A. U. R-ის რომის საბჭოს თავმჯდომარემ გენერალმა მარიო სანიმ წარმოსთქვა საქართველოსადმი მიძღვნილი მოკლე მგრძნობიერი სიტყვა; მანვე წარუდგინა დამსწრეთ ლექტორი, ვითარცა დამოუკიდებლობის დროის საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, აწ თანაწევრი და თანამშრომელი პოლიტიკურ ემიგრაციისა, საქართველოს განთავისუფლებისათვის რომ იღვწის. ამ სიტყვებს საზოგადოება ტაშით მიეგება. მიუხედავად იმისა, რომ ლექცია საათზე მეტი გაგრძელდა, ის მოსმენილ იქმნა დიდის ყურადღებით. დამსწრეთაგან ბევრნი გამოემცნაურნენ მომხსენებელს და სხვადასხვა კითხვებით მიმართავდნენ. ბ. ინგილომ დაარიგა შალვა ბერიძეს მიერ მეგობრულად გადმოგზავნილი რამდენიმე ათეული სურათი შოთა რუსთაველისა.

ბ. ინგილოს განზრახვა აქვს, გარემოებამ თუ ხელი შეუწყო, ეს ლექცია განიმეოროს პირველყოვლისა ფლორენციაში და ბოლონიაში.

X.

პარიზის მსოფლიო გამოფენა

ორი თვე შესრულდა, რაც პარიზის მსოფლიო, ხელოვნების და ტექნიკის, გამოფენა გაიხსნა. გამოფენის აგება არ არის დასრულებული, მას უთუოდ კიდევ საკმაო დრო დასჭირდება; განსაკუთრებით ჩამორჩენილია საფრანგეთის რეჟიონური, მეცნიერული და ინდუსტრიალური პავილიონები, სადაც ხშირია მუშების გაფიცვები და ლოკაუტი. მიუხედავად ამისა, დღემდის გამოფენის მნახველთა რიცხვი ხუთ მილიონს აღემატება. პავილიონები, უკეთ მათი მომწყობი სახელმწიფოები, შეგვიძლია დავყოთ სამ კათეგორიად: დიდი სახელმწიფოები, მცირე და საფრანგეთი თავისი მრავალსახის განყოფილებებით, რომელთა დიდი უმრავლესობა ზევით აღნიშნულ მიზეზით ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. ამ სამ კათეგორიიდან ჩვენთვის, ქართველთათვის, განსაკუთრებით საინტერესოა ეხლანდელ განთავისუფლებულ სახელმწიფოთა პავილიონები. საერთოდ დიდი სახელმწიფოების პავილიონების შედარება მცირეებთან არაა დიდებისათვის სასარგებლო. დიდ სახელმწიფოებში სამი—რუსეთი, გერმანია და იტალია ტოტალიტარულ რეჟიმის მატარებელნი არიან და, როგორც ასეთნი, მათი პავილიონები ამ ნიშნით დაღ-დასმული ბუნებრივად ეწინააღმდეგებიან დანარჩენებს. დიდ სახელმწიფოთა შორის, საერთო აზრით, ყველაზე უკეთ, მდიდრულად და ხელოვნების დიდი გემოვნებით წარმოდგენილია იტალია. ფაშისტურ რეჟიმის მიღწევები ნაჩვენებია მეტად მოხერხებულად და არ სტოვებს საკუთარ რეჟიმის გადაჭარბებულ რეკლამის შთაბეჭდილებას, რასაც სხვაგან არასასიამოვნოდ განიცდით (რუსეთის განყოფილებაში).

იტალიის შემდეგ გერმანიის პავილიონის შინაგანი მოწყობა გეჩვენებათ მძიმედ, თუმცა მისი გარეგნული მოხაზულობა უნაკლოა და უეჭველად სტოვებს კარგ შთაბეჭდილებას ხაზთა სიზუსტით და სიმეტრიით.

როგორც მოსალოდნელია იყო, გერმანია უმთავრესად წარმოდგენილი თავის ტექნიკის უკანას-

კნელ მიღწევებით და მნახველთა ყურადღება იქ სწორედ ამისკენაა მიპყრობილი. დიდი ადგილი უკავია ნედლ მასალათა გადამუშავების და «ერზატზთა» განყოფილებას. თუმცა აქ წარმოდგენილია მხატვრობის და სულიერ კულტურის რამოდენიმე ნიმუში, მაგრამ აშკარად სჩანს, რომ მომწყობთა მთავარი აზრი აქეთ არ არის მიმართული. აქაც რეჟიმის მტკიცებას უკავია მნიშვნელოვანი ადგილი, მაგრამ მოკლებულია იმ მოკრძალებას, რომელსაც ეგრე აფასებთ იტალიის პავილიონში. გერმანელთა პირდაპირ აღმართულია საბჭოთა პავილიონი, რომელიც ჯერ კიდევ გარეგნულ ულამაზობით იპყრობს მნახველთა ყურადღებას. მართლაც, მუშა კაცის და მუშა ქალის ჩამოსხმული უზარმაზარი სიმბოლური ფიგურების სიდიდე სრულიად შეუფარდებელია თვით პავილიონის სიპატარავესან, რომელზედაც ეს ფიგურები დგას. საბჭოთა პავილიონმა გამოიწვია იმედის საყოველთაო გაცრუება; თვით მათ მეგობრებშიაც, რომელთა რიცხვი, გზადაგზა რომ ითქვას, არც ისე მცირეა აქ,—ვერ ნახავთ მის მაქებელს. მთელი პავილიონი შეიძლება მოინათლოს სტალინის სახელობით, რადგან იქ ასზე მეტი მისი სურათია და კიდევ მეტი მისდამი მიძღვნილი ბროშურა და წიგნი. საერთოდ, თუ ტოტალიტარული სახელმწიფოები—გერმანია, იტალია და პორტუგალია უდიდეს ყურადღებას აქცევენ რეჟიმის მტკიცების და გამართლების ცდას, ამ გარემოებით მათ პავილიონებს სრულიად არ ეკარგება ეროვნული შემოქმედებითი სახეობა, რაც საბჭოებზე სრულიად არ ითქმის. აქ დაგროვილი მასალა წარმოადგენს უფორმო მასას, რომელსაც აშკარად აკლია მცოდნეს ხელი და შემომქმედის მოქნილობა. თვალში გეცემათ ქვეყნის ღრმა მილიტარიზაცია, რასაც საბჭოთა მთავრობა აწარმოებს და სჩანს ამ გარემოების ხაზგასმით აღნიშვნა მომწყობთა განზრახვაც იყო. აქ უცხოელი დარწმუნდება იმაში, რაშიაც ჩვენ ეჭვი წინედაც არ გვეპარებოდა, რომ საბჭოებში ერთა თანასწორობა ისეთივე სიცრუეა, როგორც ამ ერების კულტურულ აყვავების ლაპარაკი. გამოფენაზედაც რუსებმა ეს ერები შთანთქეს. რუსეთში მოქცეული მრავალ და მრავალ სახის კულტურით მდიდარი ერები სრულიად არ სჩანან. მაგალითისათვის ავიღოთ საქართველო. ის წარმოდგენილია შემდეგი ნივთებით და ისეც იმ რიგად, რომ ძნელია მათი ქართულობის გაგება. ერთად ერთი წიგნია ქართულად და ისიც: ლექსები და სიმღერები სტალინზე, კრებული; მის გვერდით «ვეფხის ტყაოსნის» ბალმონტის რუსული თარგმანი. სახალხო არტისტთა პლეადაში მსახიობ ვასაძის და ხორავას სურათებია; ერთი სპილენძზე და მეორე ძვალზე ამოჭრილი შოთას სურათია. მომწყობთ შეგნებულად არ გაუნაწილებიათ წარმოდგენილი ნივთები მათი ეროვნულ კუთვნილების მიხედვით და ამიტომ მნახველის თვალში ეს წარმოადგენს მხოლოდ რუსების შემოქმედების ნაყოფს. საქართველო აქ არ სჩანს. არა უშავს რა ეროვნულ თეატრთა დადგმების მაკეტების განყოფილებას. აქ ნახავთ ყველა დიდ ქალაქის და ეროვნებათა დადგმების მაკეტებს, მხოლოდ საქართველოს გამოკლებით. სამაგიეროდ თვალსაჩინო ადგილზეა ერთი დადგმის მაკეტი, რომელსაც აწერია: სომხური თეატრი ტფილისში.

დიდი ბრიტანეთის პავილიონი, მიუხედავად მთელი რიგი განყოფილების კარგ მოწყობისა, მთლიანად არ იძლევა ინგლისის ერის და მის იმპერიის სიდიადის შთაბეჭდილებას. ინგლისს არასოდეს ჰქონია ამგვარ ინტერნაციონალურ მანიფესტაციაში მონაწილეობის მიღების დიდი სურვილი. მან პარიზის 1931 წლის მსოფლიო კოლონიალური გამოფენა მონაწილეობის არ მიღებით დააზიანა და დღევანდელი მისი მონაწილეობა გამოწვეულია სერიოზული პოლიტიკური მოტივებით, თითქმის იძულებითი აქტია. ამიტომაც ის თითქოს არც ცდილა წარმოედგინა მთელი თავისი დამახასიათებელი ღრმა ტრადიციული და კულტურული სახე. უკეთ მოწყობილია განყოფილებები—შუშეულობა, ვერცხლეულობა, სპორტიული ნივთები და წიგნის გამომცემლობა—სავსეა სერიულ წარმოების საქონლით. გამოფენაზე უდიდესი ადგილი დათმობილი აქვს სოფლად და ქალაქად სახლის აგების, ბინის კეთილმოწყობის, კომფორტის პრობლემას. ყველა ელოდა ინგლისის მხრივ ამ დარგში ახალ სიტყვის თქმას. ეს იმედიც გაცრუებული რჩება. წარმოდგენილი მაკეტები მეტად უსახოა, დამახასიათებელი ჩვეულებრივი ინდუსტრიალურ უბნებისა. თვით პავილიონის მოწყობა, ექსპონანტების დალაგება და წარდგენა ატარებს მაღალ ორგანიზაციულ ნიჭის ნიშანს, დიდი სავაჭრო სახლის სტილს. საერთოდ, გამოფენისათვის დავალებულ ამოცანათა შესრულებაში სჩანს აშკარა სიმაყე—მედიდურობა.

მცირე ერებში—პირველ ადგილზე დგანან: ბელგია, ჰოლანდია და შვეიცარია, შემდეგ კი სკანდინავიის სახელმწიფოები. ბელგია და ჰოლანდია თავიანთ მეტროპოლიის სახის იშვიათად კარგ გადმოცემასთან ერთად დიდ ყურადღებას აქცევენ თავიანთ ცივილიზატურ როლს ახალშენებში. გვაცნობენ მათ მიერ იქ მიღწეულ დიდ შედეგებს. მხატვრულად და მდიდრულად მოწყობილი პავილიონები მნახველის განმანათლებელია. აქ ვტყობილობთ მაგალითად, თუ რამდენად შემცდარია ჩვენი წარმოდგენა მალაიის არხიპელაგიის ერებზე—თითქოს ისინი ნახევრად ველურები იყვნენ. თქვენ ნახავთ ევროპიელ კლასიკოსთა თარგმანს მალაიურ და ჯავანურ ენებზე.

ამ სახელმწიფოთა ისე როგორც სკანდინავიის ერების პავილიონები საერთოდ დიდ შთაბეჭდილებას სტოვებენ თავიანთ წესრიგით, მტკიცე სოციალურ წყობით, პროგრესისაკენ მუდმივი მსვლელობით და მაღალ მატერიალურ და სულიერ კულტურით.

შვეიცარიის პავილიონი თუმცა წარმოდგენილია მთლიანად ტურისტულ გადახრით, ე. ი. კომერციულ მიდგომით, მაინც ფრიად მომხიბლავია, განსაკუთრებით თავის პეიზაჟებით, რომლებიც საქართველოს მოგვაგონებენ.

სკანდინავიის სახელმწიფოთა პავილიონები მჭევრად მეტყველებენ მათ დამახასიათებელ ზომიერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით, სიდინჯით და უპრეტენზიობით. ყველგან სჩანს მშობლურ მიწის იშვიათი სიყვარული, მისგან განუყრელობის დიდი გრძნობა, მათი გამუდმებული ზრუნვა ადამიანზე და ერზე, მისი წინწაწევის ყოველგვარი ცდა, არის ეს ჭამა-სმის გაუმჯობესობა, ბინათა კეთილმოწყობა თუ სპორტის საშუალებით ფიზიკური აღორძინება.

ბალტიკის ეხლანდელ განთავისუფლებულ სახელმწიფოებს—ლიტვას, ლატვიას და ესტონეთს ერთ შენობაში მოუწყვიათ თავიანთი პავილიონები და ეს სოლიდარობის იდეა მოცემულია შესვლისთანავე ამ ქვეყანათა სამი დმაცველის სიმბოლურ ფიგურებში. წარმოდგენილი მხატვრულად, უწარწეროდ, უპრეტენზიოდ, მათი პავილიონები ილისტრაციაა ეროვნულ თავისუფლების და კულტურის განუყრელობის იდეისა. გამოფენილი ექსპონანტები ატარებენ განზეულ დროის კულტურის გავლენას ამ ხალხებზე, მაგრამ მთლიანად გამოფენა მნახველს არწმუნებს, რომ მიუხედავად ტევტონია და სკანდინაველთა ხანგრძლივ ბატონობისა ამ ქვეყნებში, ამ ერებს შერჩენიათ ეროვნული ინდივიდუალობა და ამ ტვრამეტიოდე წლის დამოუკიდებელ არსებობის განმავლობაში ის ზედმიწევნით განუვითარებიათ. ამ ერებმა თავიანთ პავილიონების ზედმიწევნით გარგი მოწყობით მოიპოვეს საერთო სიმპატიები, რაც პრესამ უკვე აღნიშნა.

ფინლანდია ააშკარავებს თავის მაღალ კულტურის რეპუტაციას. აქაც, როგორც შვეციის პავილიონში, თითქმის მთელი ადგილი უკავია სახელგანთქმულ ტყეს და მის ინდუსტრიას.

პოლონეთის პავილიონი აგებულია ორიგინალურ კონცეპციის მიხედვით. მის მომწყობთ სამართლიანად საჭიროდ დაუნახავთ, ხაზი გაესვათ იმ გარემოებისათვის, რომ პოლონეთი და მისი კულტურა შორეულ დროიდან იწყება და მისი როლი ამ გეოგრაფიულ ნაწილში დღესაც ისაა, რაც საშუალო საუკუნოებში იყო. უკეთ შესრულებულია შესვლისას კოშკი, რომელშიაც ისტორიულ continuité-სთან (განუწყვეტელობასთან) ერთად მისი საუკეთესო შვილების ქანდაკებებში მოცემულია ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული მთლიანობის იდეა. განთავისუფლებულ ერთა პავილიონების დიდი კულტურული უპირატესობა რუსეთთან შედარებით წარმოადგენს დამოუკიდებლობის იდეიის და თავისუფალ ერების მორალურ გამარჯვებას. განა საქართველოს არ შეეძლო მონაწილეობა მიეღო ამ უდიდეს საერთაშორისო მანიფესტაციაში? განა მას არ შეეძლო ღირსეული ადგილი დაეჭირა აქ, როგორც მდიდარს, ძველს და განათლებულს ერს? ამიტომაა, რომ ქართველი მნახველი გამოფენას სტოვებს სიამოვნების გრძნობასთან ერთად დიდი გულისტკივილით.

სხვადასხვა ქვეყნის პავილიონებში ბევრი საერთო რამ არის. რამდენიმე ძირითად პრობლემას ყველგან თითქმის თანაბარი ადგილი უკავია. მაგ. ყველა, საფუძვლიანად თუ უსაფუძვლოდ ცდილობს დაამტკიცოს, რომ ის ინდუსტრიალურად სხვებზე ჩამორჩენილი არაა, რომ იქ განვითარებულ ქალაქთან ერთად მიმოსვლის და ყოველგვარ კომფორტის საკითხი დადებითად გადაჭრილია. თავიანთ ქვეყნის ამგვარ ხასიათის წინწამოწევის სურვილი თანაბრად სჩანს იტალიის, ეგვიპტის, იაპონიის და სხ. მსრივ. ზოგიერთ სახელმწიფოსათვის გამოფენაზე მონაწილეობა წარმოადგენდა პრესტიჟის საკითხს, მაგრამ ყველასათვის კი კომერციულ საქმეს, ამიტომ გასაგებია თავიანთ ქვეყნების უდიდესი რეკლამა და პროპაგანდა.

ეს საკითხი უშუალოდ გადაბმულია ტურიზმთან, რის შესახებ გამოფენა იძლევა ნათელ წარმოდგენას. შემდეგი ადგილი უკავია სოციალურ პრობლემის გადაწყვეტას. აქ მოცემულია ამ საკითხისადმი მიდგომის ორი სახე. ზოგიერთები მყვირალა დიაგრამებით, ციფრებით და სურათებით აღნიშნავენ თავიანთ მიღწევებს; თავი მოაქვთ ისე, თითქოს მისი მოგვარება მხოლოდ მათ შეეძლოთ. განსაკუთრებით კი ბევრს ყვირის რუსეთი თავის დასასვენებელ სახლებზე. და განა დასაჯერებელია ეს, როდესაც დაწინაურებული და თავისუფალი შვეცია აცხადებს გულწრფელად, რომ ბინის საკითხი მისთვის რჩება მიუხედავად დიდი ცდებისა ჯერ გადაუწყვეტელ პრობლემად? თავისუფალ სახელმწიფოთა პავილიონები უწარწეროდ ლაპარაკობენ, რომ მათ ქვეყნებში ყურადღების ცენტრში ადამიანია და ყოველგვარი პროგრესი მას ხმარდება. ამიტომ ისინი ზედმეტად სთვლიან სოციალურ მიღწევების განსაკუთრებით აღნიშვნას.

უეჭველად გამოფენამ გაამართლა თავისი პირდაპირი დანიშნულება და გასაგებია პარიზის და საფრანგეთის სიამაყე გამოფენის მოწყობის გამო. გახდება ეს გამოფენა ისეთ ისტორიულ დატად, როგორც 1900 წლის მსოფლიო გამოფენა იყო, და შესძლებს მონაწილეთა დაახლოვებას თუ არა, ამაზე ლაპარაკი ნაადრევია.

ნიკო ურუშაძე.

წერილი ამერიკიდან

იყო დრო, და არც ისე ძალიან შორს, როცა საბჭოების კომისარ ლიტვინოვის ცდა სხვადასხვა ქვეყნების საგარეო სამინისტროს კარებთან ნაყოფს იღებდა. მაშინ რუსეთის უზარმაზარი უხეში ძალა და «ამოუშრეტელი», «მილიარდების» სავაჭრო ბაზარი სახარბიელო და მიმზიდველი იყო ბევრისთვის. მაშინ თითქმის ყველა, მორცხვად, მაგრამ ბეჯითად, ცდილობდა, ეს ძალა და ბაზარი თავისკენ გადაებირებინა. ბევრმა მიზანს მიაღწია, რუსეთს მეგობრადაც გაუხდა, ლიგაშიც შემოიყვანეს.

მაგრამ ძველი თქმულებაა: დრონი მეფობენ და არა მეფენიო. ამ სულ მოკლე ხანში ბევრს თვალი ეხილება. რასაც უწინ არ ხედავდენ, ან რის დანახვა არ უნდოდათ, დღეს მათთვის აშკარა ხდება. თვით «მაგარი» რუსეთის შემქნელმა სტალინმა გამოაფხიზლა შინ და გარედ ხალხი. სტალინის მიერ რუსეთის «განწმენდამ» ორჭოფულ მდგომარეობაში ჩა-

აყენა ეს დროებითი მეგობრები. ახლა ამბობენ: ეს უზარმაზარი სიმაგრე შიგ დამპალი ყოფილა და მისი მეგობრობა ვაი თუ საზიანოც იქმნესო...

ცნობილია, რომ დემოკრატების გაზეთს «ნიუ-ორკის ტაიმს» მიუძღვნის ყველაზე მეტი ბრალი, რომ შეერთებულმა შტატებმა საბჭოები იცვნეს. განსაკუთრებით როლი ითამაშა მოსკოვში მყოფ ამ გაზეთის კორესპონდენტმა ვოლტერ დურანტმა.

ეს გაზეთი და მისი მოსკოვის კორესპონდენტი დიდს იმედებს ამყარებდენ რუსეთის ბაზარზე და რუსეთის ძალაზე (იაპონიის «ზრდის» შესაჩერებლად).

დურანტი მუდამ სტალინის რეჟიმის ქებაში იყო «ნიუორკის ტაიმსის» ფურცლებზე და ცალკე გამოშვებულ წიგნში. მან ერთხელ სტალინს აუდენციის დროს თავის სამსახური გაახსენა: «მე თავიდან ვიცოდი თქვენი გამარჯვება და მუდამ მხარს გიჭერდითო». სტალინიც უმადური არ დარჩა ამ დიდი გაზეთის სამსახურის და დურანტის კომპლიმენტები შეასხა (ამბობენ—სხვაცაო).

დურანტის მოსკოვიდან ტყუილების მოწოდება თავის გაზეთისთვის არ დაუკლია. თვით «ტაიმსიც» თავის მოწინავეებში ფრთხილად ეხებოდა საბჭოების მდგომარეობას. ამით ის თავის მთავრობას (რუზველტს) უჭერდა მხარს.

დღეს დურანტი მოსკოვშია და ხმას არ იღებს. სამაგიეროდ ამ გაზეთის მეორე კორესპონდენტი ჰაროლდი დენნი ახლა თავის გაზეთს უცენზურო წერილებს უგზავნის სტალინის დამპალ რეჟიმზე (როგორ ახერხებს ამას, გაზეთი არ ამბობს).

ჰაროლდი დენნი ოთხი წელიწადია, რაც «ნ. ტაიმსის» კორესპონდენტად არის მოსკოვში. თავიდან ეტყობოდა, რომ იმას დურანტის ენტუზიაზმი აკლდა საბჭოების მიმართ. ამბობენ პატიოსანი კაციაო და რამდენად შეეძლო, ცდილობდა სინამდვილე მოეწოდებინა თავის გაზეთისთვის. თვით «ნიუორკის ტაიმს» კი აქვს ახლად გაქრისტიანებულ ველურ კაცის ფსიქოლოგია: თურმე ერთხელ მღვდელმა შეამჩნია, რომ ახლად მონათლული ველური ორ ანთებულ სამთელს აწეპებდა ხატის წინაშე, ერთს წმინდა გიორგის წინ და მეორეს იქვე დახატულ კუდიან ეშმაკის წინ. მღვდელმა ჰკითხა, რატომ შვები ამასაო. ახალმა ქრიტიანმა უპასუხა: «ვინ იცის, საქმე როგორ წავა—თუ სამოთხეში მოვხვდი, კარგი, თუ არა და ჯოჯოხეთშიც მეგობარი მეყოლებაო».

დღეს დურანტი გაჩუმებულია და დენნის რიგია. განსაკუთრებით მისი ცნობები საინტერესოა მარშალ ტუხაჩევსკის და შვიდი გენერლის დახვრეტის შემდეგ. 24 ივნისიდან 28-მდე «ნიუორკის ტაიმსში» მოთავსდა მისი უცენზურო წერილები. რადგან მისი ცნობები აქ ყურადღებას იპყრობს, მოვიყვანთ ცოტად ვრცლად.

დენნი იწყებს სტალინის სიტყვებით, რომელიც მას წარმოუთქვამს 23 დეკემბერს 1925 წელს, როცა ზინოვიევი და კამენევი მოითხოვდენ ტროცკის დახვრეტას და სტალინი იცავდა: «გეზი სისხლის დაღვრისა საშიში და გადამდებია; დღეს მოჭრი ერთს თავს, მეორეს—ხვალ, ზეგ—მესამეს, რა დაგრჩება პარტიიდან»-ო...

დენნი განაგრძობს: «თავები ვარდებიან დღეს და ყველაფერი იმის მაჩვენებელია, რომ თავების დავარდნა კიდევ გაგრძელდება... გრძნობ—შიში და დუხჭირი ჰკიდია ჰაერში და ეს ისე უბედურად აწვება მოსკოვს, რომ გამვლელი ტურისტებიც გრძნობენ და დაღონებულნი არიან. ქვეყანა განიცდის ისეთ საშინელ კრიზისს, რომლის მსგავსი არ ყოფილა კოლექტივიზაციის შემოღების მერეო (1922 30)».

დენნის სიტყვებით ყოველი დარგი საბჭოების ქვეყნისა ქაოტური და ნგრევის პროცესშია: ინდუსტრია, ტრანსპორტი, კოლექტივიზაცია... მთავრობას მკაცრი განკარგულება გამოუცია, რომ ათი დღის განმავლობაში ყველაფერი უნდა გამოსწორდეს, თორემ უფროსები და ინჟინერები პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნიო...

დენნი შენიშნავს: «მოგეხსენებათ, ასეთ უზარმაზარ და უბედურად დაცემულ განყოფილებებს ათ დღეში ვინ გამოასწორებს»-ო.

სიმხეცე და სიმკაცრე, რომელსაც საბჭოების ორგანოები, პოლიტიკური პოლიცია, კომუნისტურ პარტიის წინამძღოლები და მთავრობის პრესა იჩენენ «დამგრეველების» და მსტოვრების (ჯაშუშების) და სხვა ხალხის მტრების ძებნაში, დიდად აოცებს რუსებს და საზღვარ გარეთელებსაცო. ყოველ დღე პრესა ამბობს, რომ ქვეყანა გავსებულია გამცემლებით და მოღალატეებით, რომ დამსხვრეულია ინდუსტრია, დაქვეითებულია ტრანსპორტი და სურსათ-სანოვაგის მოწოდება. უარესია მეცნიერებაში, ისტორიაში, კანონმდებლობაში და სხვაგან, რაიც გამოწვეულია «ტროცკისტების», ფაშისტების და მტრულად განწყობილ უცხოეთის ქვეყნების აგენტების.

«ახლა აქაური პრესა აღწერს ისეთ ცუდს მდგომარეობას, რომლის მსგავსი უცხოელს არც ესიზმრებოდა»-ო. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა დენნი თამამად განაგრძობს: «თუ მივიღებთ მხედველობაში, რაც გამოქვეყნებულია, შეგვიძლია ორი რამ დავასკვნათ: 1) ან მთავრობამ და კომუნისტურ პარტიის ლიდერებმა, რაც ერთი და იგივეა, მოაწყვეს ეს გიგანტური შეთქმულება (დახვრეტილთა წინაამდეგ) ან და 2) არის ისეთი უკმაყოფილება და და არა ლოიალობა სტალინის რეჟიმში, რომ თითქმის, თუ არა სრულებით, კონტრევოლუციურია. თუ მთავრობამ და პარტიის ლიდერებმა თვითონ, განგებ, მოაწყვეს—ეს იმიტომ, რომ მუჭა მართველ კლიკას მოეშორებინა თავიდგან და გაეწმინდა ქვეყანა გამოჩენილი პირებისგან, რომ საშიშნი არ გამხდარიყვნენ. «სიმართლე ალბად შუაშია. ოპოზიცია გაჩნდა და შეშინდა კრემლი... საბჭოების რუსეთი დღეს განიცდის ისეთ კრიზისს, რომელიც არყევს მის საძირკველს»-ო.

როცა შარშან და ამ წელს სტალინი ახვრეტინებდა ძველს რევოლუციონერებს, შეერთებულ შტატების პრესა გაკვირვებული იყო, არ იცოდა, ვინ იყო მართალი: დამხვრეტელნი თუ დახვრეტილნი, და მხოლოდ ამბობდა, რევოლუცია თავის შვილებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სჯამსო, ძალი ძალის ტყავს ხევსო. მაგრამ როცა მარშალი ტუხაჩევსკი და შვიდი გენერალი დახვრიტეს, ყველამ ერთხმად სთქვა—სტალინის რეჟიმი დამპალი ყოფილა და თვით ჯარი, რომელიც ძლიერი გვეგონა, ალბად ფუტურო არისო; ამ რვა პატრიოტის დახვრეტა, მტყუანნი იყვნენ თუ მართალნი—ორსავე შემთხვევაში სტალინის რეჟიმის განაჩენი არისო...

დენნი აგვიწერს ერთს უკანასკნელს მთავრობის მიერ გამართულ საღამოს, რომელსაც აკლდა ბევრი დაჭერილის და დახვრეტილის ფიზიონომია—ასეთს საღამოებს ყოველთვის რომ ესწრებოდენ. აღმოსავლეთის ერთი დიპლომატის ცოლმა მითხრა: «ისე ვგრძნობ, თითქოს ხოლერიან ქვეყანაში ვიყო—არ იცი, რომელი აქ მყოფი რომელ წუთში დაეცემა»-ო. დენნი უმატებს: «ლენინს რომ შეეძლოს დაბრუნება თავის წითელ ქვეყანაში, სულ ცოტა ნაცნობ სახეებს ნახავდა»-ო.

თავის მეოთხე (27 ივნისის) უცენზურო წერილში დენნი ამბობს: «რა იქნება ბოლო ამ გაწმენდისა, რომელიც ასე უხეშად ხდება საბჭოების ცხოვრების ყოველ დარგში? იმსხვრევა უკვე ეს ახალი ცხოვრება, ოცი წლის განმავლობაში დიდი ტკივილებით და მსხვერპლით აშენებული? დაუპირდაპირდა ეს რეჟიმი აშკარა კონტრევოლუციას? ეს არის კითხვები, რომელსაც ძალაუნებურად იწვევს ეს მასიური დაჭერა და დახვრეტა და რომელზედაც ყოვლად შეუძლებელია გადაჭრილი პასუხის მიცემა».

თვით დენნი ფიქრობს: მიუხედავად გავრცელებულ უკმაყოფილებისა შეუძლებელია სახურავის გადანგრევა, სადაც მთავრობა ზის ძლიერი პოლიციით და ჯარით, რადგან ორივე სტალინის ხელშია მის ადიუტანტ ეყოვის დახმარებითო. ერთი—ოცი წლის დიქტატურობამ შვა ერთ კაცის დესპოტიზმი, რომლის ქვეშ საბჭოების მცხოვრებნი სრულებით დაძაბუნებულნი არიანო. მეორე—ალბად არავინ დარჩა, რომ შესძლოს აჯანყების გაძღოლა; თითქმის ყველა, ვისაც შეეძლო სტალინის გამკლავება, მის წინააღმდეგ ავტორიტეტული ლიდერობა, მოსპობილი არისო...

მერე დენნი ანალიზს უკეთებს სხვადასხვა წრეებს და ამბობს: «უკმაყოფილება მეტად მწვავეა ინტელიგენციასა და მცირე ხელფასის მუშებში. ახალი თაობა კი, გაზდილი კომუნისტურ რეჟიმს ქვეშ, რომელმაც უკეთესის არა იცის რა, ეტყობა ლოიალურია, თუმცა იმასაც ამბობენ დაბეჯითებით, რომ უმაღლესად განათლებული ახალგაზდობა კრიტიკულად მსჯელობსო. ის კარგად ხედავს რეჟიმის ტირანიას ინტელექტუალურ ცხოვრებაში. ამბობენ, რომ ბევრი ახალგაზდა პროფესორი ციხეებშია, ბევრი ამოკლებს თავის კურსებს, რადგან ეშინია, არ იცის რა ასწავლოს, რომ არ მიიღონ გადახრად; ზოგიერთები მხოლოდ კარლ მარქსიდან კითხულობენ ლექციებს, რომ ხიფათში არ გაერიონო»...

დენნი ვრცლად ეხება ინდუსტრიის უმწეო მდგომარეობას: «მუშებში და ინჟინერებში დაბნეულობა და შიში მძვინარებს. «ტროცკისტებზე» ნადირობა, მასიური დაბეზღება, დათხოვნა, დატუსაღება ანგრევს ყველა დაწესებულებას, რაც მთავრობის რისხვას იწვევს და ეს კიდევ უფრო აუარესებს საქმეს. ამასთან ახლა ირკვევა, რომ ინდუსტრიის ბევრი ციფრი ფალსიფიკაცია ყოფილა. კრემლის მოთხოვნის შიშის ქვეშ სხვადასხვა ქარხნების და დაწესებულებების უფროსები თურმე ტყუილს ანგარიშებს იძლევოდნენო».

დენნი სწერს, რომ მას უტყუარი ცნობები აქვს უცხოელ ინჟინერებისაგან, ვინც საბჭოებისთვის მუშაობდენ, რომ მდგომარეობა კატასტროფულიაო. მთავრობის სათაყვანებელი სტახანოვის სისტემა უკუღმართს შედეგებს იძლევაო. მუჭა ფაბორიტს ეძლევა საშვალება ხელფასის მომატების, დანარჩენი მთელი მასა მუშებისა ისეთ დაბალ ხელფას ღებულობს, რომ ცხოვრება არ შეუძლიათო...

«მუშების დისციპლინა, რომელიც შიშით იყო დამყარებული, ახლა უეცრად დაეცა; მუშები არ ემორჩილებიან უფროსებს და ინჟინერებს და ესენი უძლურნი არიან—ეშინიათ «ტროცკისტობა» არ დაგვწამონო... «ჩემი ოთხი წლის აქ ყოფნის განმავლობაში ამისთანა მოვლენის მოწამე არ ვყოფილვარ, მგონია რეჟიმი ინძრევა, შესაძლებელია ეს იყოს დაწყება დამსხვრევისაო»...

თავის წერილს დენნი ასე ათავებს: «თუ რამე დაემართა რეჟიმს, ეს არ იქნება პოლიტიკური აჯანყება, ან coup d'état, არამედ შედეგი ეკონომიური დამსხვრევისა და გახრწნისაო».

როგორც მკითხველი ხედავს, დენნის წერილებს კომენტარიები არ სჭირდება. ჩვენ სულ ცოტა მოვიყვანეთ მისი ოთხი დიდი წერილიდან, რომელიც «ნიუორკის დაიმსის» პირველ გვერდზე მოთავსდა და რომელშიც ერთი დადებითი წინადადება არ იყო საბჭოების სასარგებლოდ. აქ რაც ითქვა, იქიდანაც შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სტალინის რეჟიმი განსაცდელშია და შესაძლებელია დაეცეს, თუ სტალინმა რამე ხრიკებით არ უშველა, რომელსაც ის დროგამოშვებით კრიზისების დროს ხმარობდა. ამის შესაძლებლობაზე «ნიუორკის ტაიმსი» პირველ ივლისს თავის მოწინავეში სწერს. ეხება რა ამურზე რუსეთ-იაპონიის შეტაკებას, ის ამბობს: «შესაძლებელია რუსეთის მოწყობილი იყოს ბლაგოვეშჩენსკთან მომხდარი ინციდენტი. მოსკოვს ალბად უნდა, რომ მთელი უკმაყოფილო ხალხის ყურადღება შორეულ აღმოსავლეთისკენ მიაქციოს სამშობლოს დასაცავად. რუსეთ-იაპონიისაგან ხშირად გაგვიგონია: «მგელი, მგელი, გვიშველეთო»! შესაძლებელია ახლაც ეს იყოს. თუმცა ვფიქრობთ—არასოდეს არ ყოფილა შორეულ აღმოსავლეთში რუსეთისთვის ასეთი სერიოზული კრიზისიო».

აქაური პრესის აზრით რუსეთის დღევანდელი იზოლიაცია საერთაშორისო კონცერტიდან მისი პოლიტიკური და ეკონომიური სისუსტის შედეგიაო...

ნაური.

რას სწერენ სომხური გაზეთები

ორიენტაციის გარშემო.

დაშნაკელების ამერიკული გაზეთი «ჰაირენიკ» რამდენიმე წერილს უძღვნის იმ საკითხის გარკვევას, თუ როგორ მოიქცევა პარტია მოსალოდნელ ომის დროს. პირველ წერილში (21 მარტი) გაზეთი ეხება რუსის ემიგრანტების, კერძოდ დენიკინის შეხედულებას თავდაცვისა და დამარცხების შესახებ და ამბობს: «დავა, რომელსაც ადგილი აქვს რუსის ანტიბოლშევიკურ ემიგრაციაში, საგულისხმიერია ჩვენთვისაც—სომხებისთვის. ომი, რომელიც რუსეთს ემუქრება, სახიფათოა სომხეთისთვისაც. თუ ომის დროს გარეშე მტერს შეუძლია ტერიტორიალური ზიანი მიაყენოს რუსეთს, სომხეთს ის სასიკვდილო ლახვარს ჩასცემს, მთლად გაწყვეტს სომხის ერს და ბოლოს მოუღებს მის ფიზიკურს არსებობას. ამიტომ თუ მოხდა თავდასხმა სომხეთზე, უცხოეთის სომხებისთვის დადგება უფრო მძიმე და პასუხის საგები საკითხი ვიდრე რუსებისთვის...

«ჩვენ არ შეგვიძლია, მსგავსად დენიკინისა, ორი პრინციპით ვიხელმძღვანელოთ. ჩვენ უნდა გვქონდეს მხოლოდ ერთად ერთი პრინციპი, სახელდობრ: ყოველ გარემოებაში დავიცვათ სომხეთი და მისი სასიცოცხლო ინტერესები. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინაამდეგ ბევრით განსხვავდება იმისგან, რასაც გენერ. დენიკინი ჰქადაგებს. ჩვენ მშვიდობიანობის დროსაც არ შეგვიძლია და არ გვინდა იდეურ ბრძოლას გავსცილდეთ. ჩვენი ბრძოლა საბჭოთა რუსეთის წინაამდეგ არ არის მიზანი, არამედ საშუალებაა სომხეთის და სომხის ერის ინტერესების დასაცავად. ამრიგად თუ სომხეთს ომი ექმნა გარეშე მტერთან, უცხოეთის სომხები, ბუნებრივია, უნდა იყვნენ იმ მთავრობასთან, რომელიც დაიცავს სომხეთს გარეშე მტრისაგან. და ვინაიდგან ეს მთავრობა დღეს საბჭოთა მთავრობაა, ამ გარემოებას არ შეუძლია ხელი შეუშალოს უცხოეთის სომხებს განურჩევლად პარტიისა და პოლიტიკური რწმენისა, მხარი დაუჭიროონ ამ მთავრობას, რომ მას შეეძლოს საუკეთესოდ დაცვა სომხეთისა მის მოსისხლე გარეშე მტრის წინაამდეგ.

«ბევრმა შეიძლება გვითხრას: რაღას უცდით ომის ატეხას, და რატომ ახლავე, როცა ომის საფრთხე აშკარაა, საჯაროდ არ დაეხმარებით საბჭოთა მთავრობას, რათა უკეთესად მოემზადოს სომხეთის დასაცავად. ასეთს შემკითხველს ავიწყდება მეტად მყვირალა ფაქტი, სახელდობრ—რომ საბჭოთა მთავრობა დღეს სომხეთის მოსისხლე მტრის თურქეთის მეგობარი და მოკავშირეა. და ვიდრე ეს მეგობრობა გრძელდება, სომხეთი არაფერს მოიგებს, თუნდაც უცხოეთის მთელმა სომხობამ მხარი დაუჭიროს საბჭოთა მთავრობას და ხელი აიღოს იდეურ ბრძოლაზე მის წინაამდეგ».

ამავე საგანს უბრუნდება 24 მარტის «ჰაირენიკ» და სწერს: «როგორი უნდა იყოს ჩვენი პოზიცია საბჭოთა მთავრობის მიმართ, თუ გერმანია და იაპონია თავს თაეცნენ საბჭოთა კავშირს და თურქეთი საბჭოებთან იქმნა. ამის საპასუხოდ ყოვლის უწინარეს უნდა ვსთქვათ, რომ ვიდრე მოსკოვი და ანკარა განაგრძობენ მეგობრობას და კავშირს, სომხურ ეროვნულ თვალსაზრისით არავითარი საბუთი, ინტერესი და სარგებლობა გვაქვს, შევცვალოთ ჩვენი დამოკიდებულება საბჭოთა მთავრობასთან. არ უნდა დავივიწყოთ, რომ არც იაპონია, არც გერმანია სომხის ერის მტერი არაა და სომხეთის მიმართ არავითარი მტრული განზრახვები არა აქვთ. თუ რუსები, ბოლშევიკების მოწინაამდეგენიც, პატრიოტული მოსაზრებით საჭიროდ სთვლიან, შეიარაღებული წინაამდეგობა გაუწიონ გერმანიას და იაპონიას, რათა ხელი შეუშალონ რუსეთის ახალს დანაწილებას,—ჩვენ სომხებს, როგორც ერს, არა გვაიძულებს რა და არავითარი სარგებლობა გვაქვს, ვეომოთ გერმანიას და იაპონიას.

«ვსთქვათ უფრო გარკვევით: სანამ თურქეთი გერმანიის და იაპონიის მხარეზე არაა, სომხები არ უნდა გამოვიდეთ უკანასკნელების წინაამდეგ და უნდა განვაგრძოთ იდეური ბრძოლა საბჭოთა მთავრობის წინაამდეგ. ამას გარდა: ვიდრე მოსკოვი და ანკარა ერთმანერთის მეგობრები და მოკავშირენი იქნებიან, ომი ევროპის ფრონტზე და შორეულ აღმოსავლეთში სომხის ერის ფიზიკურ არსებობისათვის საფრთხეს არ წარმოადგენს. ამ შემთხვევაში თუ რამე დაემუქრება ჩვენს ეროვნულ ინტერესებს ამიერ-კავკასიაში, ეს მოხდება უფრო საბჭოთა მთავრობის მხრით, ვიდრე იაპონია-გერმანიისაგან, რადგან საბჭოთა მთავრობას, როგორც თურქეთის ერთგულს მეგობარს და მოკავშირეს, შეუძლია მას მიანდოს ამიერ-კავკასიის დაცვა და თავისი ჯარები გადაისროლოს გერმანიის და იაპონიის წინაამდეგ. მაგრამ მდგომარეობა არსებითად შეიცვლება ჩვენთვის, თუ თურქეთი ჩამოშორდება საბჭოებს და გადავა გერმანიის და იაპონიის მხარეზე. ამ შემთხვევაში სომხის ერის საარსებო ინტერესები მოითხოვენ ჩვენგან, უკუვაგდოთ ყოველი ოპოზიცია საბჭოთა მთავრობის მიმართ და დავეხმაროთ მას, რომ რაც შეიძლება უკეთესად დაიცვას სომხეთი».

2 აპრილის ნუმერში გაზეთი კვლავ იმეორებს ამ აზრებს და პასუხს აძლევს იმ პარტიებს, რომელნიც ამ პოზიციას ებრძვიან. «ამ ჩვენს პოზიციას—სწერს «ჰაირენიკ»: რომელიც სრულიად ლოდიკურია და რომელსაც იმპერატივულად გვიკარნახებს სომხის ერის სასიცოცხლო ინტერესების შეგნება, სასტიკად აკრიტიკებენ რამკავარები და აგრე წოდებული სომეხი კომუნისტები. ეს ვაუბატონები მოითხოვენ, რომ მათთან ერთად ჩვენ დავეხმაროთ საბჭოთა მთავრობას, რომელიც სომხის ერის მოსისხლე მტერის თურქეთის მოკავშირეა. საბჭოთა მთავრობის ამ მორჩილ ლაქიებს არ უნდათ შეიგნონ, რომ ვიდრე თურქეთის მეგობარია საბჭოების მთავრობა, იგი იძულებულია აწარმოვოს ანტისომხური პოლიტიკა. რასაც ადგილი ჰქონდა ერთხელ კიდევ ხანჯიანის თავის მოკვლასა და ახალი კონსტიტუციის გამოცხადებასთან დაკავშირებით».

შემდეგ 9 მაისის ნუმერში გაზეთი ასე განაგრძობს: «პარიზის ჰინჩაკისტების ანუ უკეთ კომუნის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტების «ნორ ერკირ» ამბობს, რომ ჩვენი პოზიცია არის «პირობითი პატრიოტიზმი»... ჩვენ ვამბობდით და კიდევ ახლად ვიმეორებთ, რომ ყოველ გარემოებაში ჩვენ უნდა დავიცვათ სომხეთი და მისი საარსებო ინტერესები. არ გვითქვამს და არ შეგვეძლო გვეთქვა, რომ ყოველ გარემოებაში უნდა დავიცვათ საბჭოთა მთავრობა და მისი სასიცოცხლო ინტერესები, როგორც ეს უნდათ სომხის კომუნისტებს, ჰინჩაკისტებს ან რამკავარებს. რატომ? იმიტომ რომ ყოველ შემთხვევაში—ომი იქნება თუ მშვიდობიანობა—, როცა საბჭოთა მთავრობა გამოდის, როგორც მოკავშირე და თანამშრომელი თურქეთისა, ის ვერ იქნება საიმედო მეგობარი და დამცველი სომხებისა. ამიტომ ნამდვილი მამულიშვილობა მოითხოვს, რომ ამ გარემოებაში ჩვენი დამოკიდებულება საბჭოთა მთავრობასთან იყოს რეზერვით და არამეგობრული. 1920 წლის მაგალითმა დაამტკიცა ურყევი ისტორიული ფაქტებით, რომ საბჭოთა მთავრობა როგორც მოკავშირე და თანამბრძოლი თურქეთისა აწარმოებს ანტისომხურ პოლიტიკას. მხოლოდ სომხის ერის საარსებო ინტერესების განწირვით შეინახა მან და ინახავს დღესაც თურქეთის მეგობრობას... მდგომარეობა შეიქნება სულ სხვანაირი, თუ საბჭოთა მთავრობა აღარ დარჩება თურქეთის მოკავშირედ, რადგან მაშინ საკუთარი ინტერესებისათვის იძულებული იქნება აწარმოვოს კავკასიაში სომხების შესაფერი პოლიტიკა. მაშინ ის შეეცდება გაამაგროს სომხების პოზიციები, რადგან ეს იქნება მისი საკუთარი პოზიციების გამაგრება თურქეთის წინააღმდეგ, რომელიც ადრე თუ გვიან მოსკოვის მტრების ბანაკში გადავა. ცხადია, ამ შემთხვევაში ყველა სომხის პარტია მხარში უნდა ამოუდგეს საბჭოთა მთავრობას არა მარტო ომის, არამედ მშვიდობიანობის დროსაც...

«სამწუხაროდ ჯერჯერობით არავითარი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ საბჭოთა მთავრობა შორდება თურქეთს. პირიქით, ყველაფერს უთმობს მას, კავკასიაშიც რასაკვირველია, რომ არ დაჰკარგოს მისი მეგობრობა და თანამშრომლობა. დღეს არავისთვის არაა საიდუმლო, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციის დაშლა მოხდა თურქეთის პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩაგონებით».

ბოლშევიკური მიღწევები

(კომუნისტურ გაზეთებიდან)

«მასწავლებელთა პოლიტიკური და სპეციალური-პედაგოგიური მომზადება ჯერ კიდევ არ არის სათანადო დონეზე დაყენებული.

ამ მხრივ, როგორც მასწავლებელთა პირველი რიგის ატესტაციის წინასწარი შედეგებიდან ირკვევა, საქართველოში აშკარად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს. დაწყებითი, არასრული და სრული საშუალო სკოლების მასწავლებელთა საგრძნობი ნაწილის პოლიტიკური და პედაგოგიური მომზადების დონე ძალიან დაბალია. საქართველოს 15 რაიონში 300-ზე მეტი ისეთი მასწავლებელი ირიცხება, რომელთაც საშუალო განათლება არა აქვთ. ბაშკიჩეთის რაიონში დაწყებითი სკოლის 92 მასწავლებლიდან 78 დაბალი განათლებით არის, ხაშურის რაიონში 36 მასწავლებელს არა აქვს საშუალო განათლება.

მასწავლებელთა მომზადების დონე დამაკმაყოფილებელი ვერ არის თბილისშიაც. პირველი რიგის ატესტაციაში გატარებულ მასწავლებელთაგან კიროვის რაიონში სხვადასხვა საფეხურის მასწავლებლის სახელწოდებაზე გამოცდები უნდა ჩააბაროს 66 მასწავლებელმა, 26 კომუნარის რაიონში—51, ორჯონიკიძეში—35, სტალინის რაიონში—54.

უარესი მდგომარეობა გვაქვს სხვა რაიონებში. მაგალითად გეგეჭკორის რაიონში პირველი რიგის ატესტაციაში გატარების შემდეგ 169 მასწავლებელმა ვერ მიიღო პერსონალური სახელწოდება, მახარაძისაში—106, ლანჩხუთისაში—79, სოხუმის რაიონში—220.

ატესტაციის დროს ბევრი მასწავლებელი აშკარა უვიცობას იჩენდა მიმდინარე პოლიტიკის, მეურნეობის და პედაგოგიკის აქტუალურ საკითხებში. ისინი არ იცნობენ ჩვენი ქვეყნის მიღწევებს, ეს იმიტომ, რომ არ კითხულობენ პოლიტიკურ და მხატრულ ლიტერატურას, ჟურნალ-გაზეთებს, არ ეწაფებიან ჩვენი ქვეყნის კულტურის მიღწევებს, არ მუშაობენ საკუთარ თავზე.

ბევრ მათგანს არ გააჩნია ოდნავ დამაკმაყოფილებელი ცოდნა იმ საგანშიაც, რომელსაც თვითონ ასწავლის. მაგალითად, მასწავლებელ ო. ბურსულაის (გეგეჭკორის რაიონი) აზრით—«საბჭოთა კავშირი ესპანეთს ეომება», ამავე რაიონის სკოლის მასწავლებელი ახალაია დარწმუნებულია, რომ «ევროპა არის სახელმწიფო. თბილისის სკოლების მასწავლებლები ვაშალომიძე, თვალავაძე და ა. კვერცხიშვილი თავის მოკლე ბიოგრაფიის დაწერას ისე ვერ ახერხებენ, რომ 20-25 შეცდომა არ დაუშვან.»

—

«თელავის რაიონში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლათა მასწავლებლებს გასული წლის ოქტომბრიდან ხელფასი არ მიუღიათ.»

—

«ფეხსაცმელთა ფაბრიკა ყოვლად უხეირო პროდუქციას უშვებს.

მიმდინარე წლის იანვარში საქართველოში აიკრძალა გასასყიდად და მოსპეს, როგორც სრულიად უვარგისი, 506 ათასი მანეთის ფართო მოხმარების საგნები: ზეთი, ერბო, თევზი, საკანდიტრო ნაწარმოები, ყველი და სხვა.»

—

«სოიუზპროდმაგის» სისტემაში გამფლანგველთა რიცხვი უდრის 40 კაცს. მათ შორის მხოლოდ 14 გამფლანგველს აქვს სასამართლოს წესით მისჯილი სხვადასხვა სახის სასჯელი, ხოლო დანარჩენები ჯერ კიდევ თავისუფლად დასეირნობენ. «სოიუზპროდმაგში» გაფლანგული თანხა 1936 წელს უდრის 266.300 მან.

ბუხჰალტერის საბუთებიდან სჩანს აგრეთვე, რომ საქონლის გაფუჭება და დანაკარგის ღირებულება

287.500-მდე აღწევს. ზარალი-გაფლანგვა კი «სოიუზ-პროდმაგის» ყველა განყოფილებაში მთლად უდრის 516.500 მან.»

—

«ჩვენ ვმუშაობთ ქუთაისში სხვადასხვა საამშენებლო ნაწილში და გვინოდა სამუშაოს დამთავრებამდი დავრჩენილიყავით, მაგრამ დირექციამ შექმნა ისეთი პირობები, რომ იძულებულნი ვართ წავიდეთ. სამი თვეა ხელფასი არ მიგვიღია. ვცხოვრობთ ცუდად მოწყობილ საერთო საცხოვრებელ ბინებში. არ არის საგებ სახურავი. 3 4 მატრაცი, რომელიც იქ მოიპოვება, არასოდეს არ გარეცხილა. არც სასადილოშია უკეთესი მდგომარეობა. საჭმელის ხარისხი მეტად დაბალია.» ხელს აწერს ოცი მუშა.

სამოქალაქო პანაშვიდი ლევილში

კვირას, 11 ივლისს ლევილის სასაფლაოზე შეიკრიბა დიდძალი ქართველობა, რადგანაც ამ დღეს დანიშნული იყო დ. შარაშიძის ძეგლის გახსნა და მასთან ერთად ლევილში დასაფლავებულ ამხანაგ-მეგობართა მოგონების დღე.

სრულ 4 ნახ. საათზე სოც.-დემ. პარ. პარიზის კომიტეტის თავმჯდომარე ს. მენაღარი ძეგლს გახსნილად აცხადებს და დამსწრეთ მოუწოდებს ძვირფას დათიკოს ხსოვნას ერთი წუთის სიჩუმით პატივი სცენ.

ამის შემდეგ მეგობრების სახელით მეტად მგრძნობიარე სიტყვას ამბობს ბ. კ. კანდელაკი, რომელიც ახასიათებს რა დ შარაშიძეს, როგორც ცნობილ საზოგადო მოღვაწეს და დიდ ჟურნალისტს, ამბობს: «დათიკოს სახით მებრძოლ საქართველომ დაკარგა ენერგიით აღსავსე, ნიჭიერი და თავდადებული მებრძოლი; ხოლო მეგობრებმა საყვარელი, გრძნობიარე და მუდამ ფაქიზი ამხანაგი. მისი ადგილი დღესაც ცარიელია. მისი ჩვენგან წასვლა უდიდესი დანაკლისია, როგორც ქართული საქმის, ისე ქართული მწერლობისათვის. ამიტომ ქართველი ერი არასოდეს დაივიწყებს მის თავდადებულ და ენერგიულ ღვაწლს სამშობლოს წინაშე».

ამ სიტყვის შემდეგ ბ. მენაღარი დამსწრეთ აცნობს სოც.-დემ. პარ. პარიზის კომიტეტის ინიციატივას დღევანდელ პანაშვიდთან დაკავშირებით და ამბობს:

«ჩვენ დღეს აქ შევიკრიბეთ, რომ პატივი ვცეთ ჩვენს ძვირფას დათიკოს. მაგრამ ამ სასაფლაოზე, დათიკოს გვერდით, განისვენებენ საყვარელი მეგობრები და ამხანაგები, რომლებმაც სამშობლოს და თავის რწმენას ანაცვალეს საკუთარი სიცოცხლე. მათი მოგონება, მათი ხსოვნის პატივისცემა უნდა გახდეს ქართველ საზოგადოების წმინდა მოვალეობად. ბევრი ყავს საქართველოს მზგავსი თავდადებულნი, რომელთა საფლავები გაფანტულია, როგორც აქ, ისე სამშობლოში და ციმბირის ყინულოვან მიდამოებში. და აი ამ დახოცილ გმირთა მოსაგონებლად ჩვენმა ორგანიზაციამ გამოაცხადა ყოველი წლის მაისის პირველი კვირა ამ თანამემამულეთა მოსაგონებელ დღედ. ამ დღეს, ყოველ წლიურად ჩვენ მოვალთ აქ, რომ აქ განსვენებულთა საფლავებზე მოვიგონოთ ჩვენგან უდროოდ მუხტალ ბედის მიერ მოგლეჯილი მეგობრები. წელს ეს გლოვის დღე ჩვენ შეუფარდეთ დათიკოს ძეგლის გახსნას, რომ ამით დაგვეწყო ეს ახალი და სიმპატიური წამოწყება.

ჩვენ გვწამს, რომ ამ კეთილშობილურ ინიციატივას თანაგრძნობით შეხვდება, როგორც ჩვენი ამხანაგები, ისე ფართე ქართველი საზოგადოება.»

ამის შემდეგ სიტყვა ეძლევა ბ. ს. ლიაძეს, რომელიც საქართ. სოც.-დემ. პარიის პარტიზის კომიტეტის სახელით მგრძნობიარე და შინაარსიან სიტყვას ამბობს. ის მოხდენილად ახასიათებს საქართველოს მიერ გაღებულ უამრავ მსხვერპლს და მის დაუდგრომელ ბრძოლას თავისუფლებისათვის. იგონებს აქ დასაფლავებულთა ღვაწლს და თავდადებას სამშობლოს საქმისათვის და დაასკვნის:

როდესაც ჩამოკრავს სამშობლოს თავისუფლების ზარი, მაშინ ჩვენ აქ მოვალთ და ჩვენს ძვირფას დათიკოს, ევას, კოლიას, ნიკოს, გეორგეტის, ამბერკის და სხვებს ამ ნეტარ დღეს ვახარებთ».

ამით დასრულდა სამგლოვიარო დღე. დამსწრენი გუნდ-გუნდად დაიშალენ, ზოგნი პარიზისაკენ გამოეშურენ და ზოგნი კი ქართულ შატოსკენ დაეშვენ.

დამსწრე.

საქართველოს ამბები

(გაზეთებიდან)

რუსთაველის დღესასწაულები დაიწყება ამა წლის 11 დეკემბერს და გაგრძელდება თვის ბოლომდის.

იუბილესთვის გამოვა აკადემიური გამოცემა «ვეფხის ტყაოსნისა» ორ ტომად; სახალხოდ გამოვა ერთ ტომიანი გამოცემა.

მზადდება გამოსაცემად «ვ. ტყაოსნის» მე-17 საუკუნის ილუსტრაციების ალბომი, ნ. მარის რჩეული ნაწერები რუსთაველის შესახებ, ივ. ჯავახიშვილის «რუსთაველის ხანის გონებრივი და მატერიალური კულტურა», პ. ინგოროყვას «შოთა რუსთაველი», შ. ნუცუბიძის «საქართველოს კულტურა მეთორმეტე საუკუნეში და რუსთაველი», არჩილ მეფის «გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველის», ძველი ქართული რომანი (გაგრძელება ვ. ტყაოსნისა) «ომანიანი», «ვისრამიანი», პეტრიწონელის «კავშირნი» და ხალხური ვეფ. ტყაოსანი; მოკლე დროში გამოვა XI XIII ს. ს. მატერიალური კულტურის ამსახველი კრებული შემდეგი შინაარსით: მიმოსვლა და სავაჭრო გზები, ხიდების ნაშთები (გ. ჩუბინაშვილი), არხების და წყალსადენების ნაშთები (ი. ლ ოსაბერიძე) და საქართველოში გავრცელებული ადგილობრივი და უცხო ფული (თ. ლომაური); კრებულის საერთო რედაქცია ეკუთვნის ივ. ჯავახიშვილს. გამოვა აგრეთვე ლ. მუსხელიშვილის ნაშრომი დმანისის ნაქალაქარის გათხრის შედეგების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამოვიდა ახალი გამოცემა პ. იოსელიანის «ცხოვრება გიორგი მეცამეტისა».

— დაიწყეს ტფილისის საოპერო თეატრის რეკონსტრუქცია. თეატრს უმატებენ ახალს დიდს შენობას.

— მიწათმოქმედების კომისარიატის არქივში აღმოაჩინეს ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტები, სხვათა შორის მეფე ერეკლე მეორის სიგელი.

— მეტეხის მუზეუმის გამგებლობა ჩამოართვეს დ. შევარდნაძეს იმისთვის, რომ «თანამედროვე ცხოვრების, ბრძოლისა და გმირობის სურათები მუზეუმში ადგილს ვერ პოულობდენ».

დახვრეტები ტფილისში

გაზ. «კომუნისტის» 10 ივლისის ნუმერში დაბეჭდილია შემდეგი:

«საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სპეციალურმა სასამართლო საკრებულომ შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე მ. ისაკაძე და წევრები ა. ჩხეტიანი, ე. ტატუზოვი, მდივანი—ს. ჯაფარიძე, მიმდინარე წლის 9 ივლისს სასამართლოს დახურულ სხდომაზე განიხილა 1934 წლის 1 დეკემბრის კანონით დადგენილი წესით საქმე ბრალდებისა გამო ბ. მდივანისა, მ. ტოროშელიძისა, მ. ოკუჯავასი, გ. ყურულოვისა, ს. ჩიხლაძისა, გ. ელიავასი და ნ. ქარცივაძისა დანაშაულში, რაც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 58-1, 58-6, 58-8, 58-9 და 58-11 მუხლებით.

სასამართლომ გამოარკვია, რომ ბრალდებულნი შედიოდნენ საქართველოს ამჟამად გამომეღავნებულ ანტისაბჭოთა ორგანიზაციის შემადგენლობაში, რომელიც აერთიანებდა დამარცხებული ანტისაბჭოთა პარტიების ნაშთებს, ეწეოდნენ გამცემლურ, ჯაშუშურ, მავნებლურ და დივერსიულ მუშაობას და ამზადებდნენ ტეროორისტულ აქტებს პარტიისა და საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

ყველა ბრალდებულმა: ბ. მდივანმა, მ. ტოროშელიძემ, მ. ოკუჯავამ, გ. ყურულოვმა, ს. ჩიხლაძემ, გ. ელიავამ და ნ. ქარცივაძემ დამნაშავედ სცნეს თავი სამშობლოს ღალატში, რაც გამოიხატა ჯაშუშობაში უცხოეთის ერთერთი სახელმწიფოს ფაშისტური წრეების სასარგებლოდ, დივერსიულ და მავნებლურ აქტებში საქართველოს სახალხო მეურნეობის დარგში.

საქართველოს სს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სპეციალურმა სასამართლო საკრებულომ დაადგინა: ყველა ბრალდებულს, როგორც ხალხის მტრებს და სამშობლოს მოღალატეებს, მიესაჯოს სისხლის სამართლის სასჯელის უმაღლესი ღონისძიება—დახვრეტა.»

ანგარიში

ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდისა.

როგორც «დამ. საქართველოს» ამა წლის აპრილის გამოცემაში იყო მოხსენებული (№ 134, გვერდი 14-15) 23 აპრილისათვის ფონდის შემოსავალი იყო 4.365 ფრანგული ფრანკი. მას შემდეგ შემოვიდა:

1. ლიდა და მიხეილ უბირიასაგან (პრაღა) 100 ფრ.
2. სერგო იმნაძისაგან 50 ფრ.
3. პარიზის ქართველთ ახალგაზდა წრისაგან (ლ. ზურაბიშვილის და ბ. რამიშვილის მიერ წარმოგზავნილი) 300 ფრ.
4. კალისტრატე კახიანისაგან (შ. აბდუშელიშვილის მიერ შემოტანილი) 50 ფრ.
5. პოლონეთში მყოფ ქართველთ ოფიცრებისაგან (ბ. ბაგრატიონის მიერ წარმოგზავნილი. სახელები შემომწირველთა ბოლოს იქნება გამოცხადებული) 423 ფრ.
6. ივანე ზურაბიშვილის ოჯახისაგან 150 ფრ.
7. სოშოს ქართველ მუშებისაგან (სახელები შემომწირველთა წლის ბოლოს იქნება გამოცხადებული) 560 ფრ.
8. ვალიკო ფიჩხაიასაგან (ჩეხოსლოვაკია, ლომთათიძისაგან წარმოგზავნილი. ბ-ნი ვალიკო მეორეხელ გზავნის ასეთ თანხას) 105 ფრ.
9. პარიზის ცენტრის წევრებისაგან 300 ფრ.
10. პარიზში ქალთა კომიტეტის მიერ შეგროვილი (რომელშიც 200 ფრანკი შეგროვილია ლიდა და გიორგი ნოზაძისაგან, 300 ფრ. პარიზის დრამატიულ დასის «დამხჩვალი ჩხიკვი»-საგან, 200 ფრ. პარიზის «შავარდენის კარვედის გუნდი»-საგან, 100 ფრ. ბ-ნ ლ. რუხაძის მიერ შეგროვილი: 50 ფრან. M-e Brummaultdes Houlieres-რისაგან, 50 ფრ. ბ-ნ ლ. ჭურღულაშვილისაგან) 800 ფრანკი.
11. კ. ქავთარაძისაგან წინეთ შემოტანილი (ის შეიდის პარიზის ცენტრის წევრებშიც) 10 ფრ.
12. ბრიუსელში მყოფ ქართველებისაგან (რუსუდან ყიფიანი, ვ. ლაზრიშვილი და ი. ოთხმეზურისაგან 120 ბელგ. ფრანკი.
13. ჟურნალ «სამშობლოს» რედაქციისაგან 100 ფ.

სულ დღემდის, 23 ივლისამდის, შემოსულია ფრანგულის ფრანკით რომ ვიანგარიშოთ 7.428 ფრ.

გულითადი მადლობა ყველა ზემოთ აღნიშნულ შემომწირველთ.

პატივისცემით ექვთიმე თაყაიშვილი.

გაზეთისათვის დასაბეჭდი მასალები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r PIRTSKALAVA
10. rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France.

Leuville-sur-Orge. — *Imprimerie de Leuville.* Le Gérant : A. LARGILLIÈRE.